საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 11 | სამშაბათი, 18 დეკემბერი, 1990. | ფასი 3 კაპიკი

ხელისუფლების დერეფნებში

საუბარი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში

17 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია შეხვდა და ესაუბრა სსრ კავშირში ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლებს საელჩოს მრჩევლის მილან ტოკარის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე ამ საელჩოს პირველი და მესამე მდივნები ინჯიხ პოკორნი და იოზეფ გრაბეცი.

გაიმართა საქმიანი, დაინტერესებული სჯა-ბაასი, რომლის დროს ბატონმა ზვიად გამსახურდიამ სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უკანასკნელ ხანს მომხდარი რადიკალური ცვლილებები, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე უზენაესი საბჭოს მიერ გამოცხადებული გარდამავალი პერიოდის მიზნები და ამოცანები.

ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლებს ესაუბრნენ საქართველოს ახალი პარლამენტის მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების, რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის, მისი ეკონომიკის გაჯანსაღების, სოციალურ პრობლემათა გადაჭრის ღონისძიებებზე.

საუბრის დროს ყურადღება დაეთმო საქართველოსა და ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის საქმიანი თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავების პერსპექტივებს. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნის პარლამენტების პირდაპირი ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებას, ცხოვრების ყველა სფეროში ჩეხეთ-სლოვაკეთისა და საქართველოს ხალხების უშუალო კონტაქტების გაფართოებას.

სს „საქართველო“

სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიაში

16 დეკემბერს რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივი კომისიის სტრუქტურული შემადგენლობა კომისიათა თავმჯდომარეების მითითებით.

ბატონმა თემურ მდინარაძემ უარი განაცხადა მემცენარეობის პროდუქტების წარმოების, გადამუშავებისა და კვების მრეწველობის კომისიის თავმჯდომარეობაზე მისი ძირითადი საქმიანობის — სამეცნიერო მოღვაწეობისადმი პრიორიტეტის მინიჭების მოტივით.

სს „საქართველო“

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრში

8 დეკემბერს პრესცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

— ბატონო ზვიად, დღეს 7 საათზე დანიშნულია შეხვედრა მრგვალი მაგიდის წარმომადგენლებსა და კონგრესის წარმომადგენლებს შორის, რას იტყვით ამის შესახებ?

— ეროვნულ კონგრესს ჩვენ არ ვცნობთ. პარლამენტი არის ოფიციალური ორგანო, კონგრესი კი არაოფიციალური. თუნდაც ამ მიზეზის გამო არ მოხდება შეხვედრა კონგრესისა და უზენაესი საბჭოს წარმომადგენლებს შორის ოფიციალურ დონეზე. დღეს იქნება მრგვალი მაგიდის წევრების შეხვედრა სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებთან, ტელევიზიით გამოაცხადეს, თითქოს მოხდება შეხვედრა კონგრესისა და პარლამენტის წარმომადგენლებს შორის. ამით მათ პარლამენტი და კონგრესი გააიგივეს. არ უნდა მოხდეს ცნებათა აღრევა.

— ბატონო ზვიად, ამას წინათ თქვენ მიტინგზე განაცხადეთ, რომ უნდა მოხდეს საქართველოში უკანონოდ არსებული ყველა შეიარაღებული ფორმირების განიარაღება. როგორ აპირებთ ამის განხორციელებას? თუ არის განზრახული შეიქმნას სახელმწიფო ჯარისა და მილიციისაგან დამოუკიდებელი ჯარი ან შეიარაღებული ფორმირება?

— ჩვენ ვცდილობთ მათ განიარაღებას მშვიდობიანი გზით. ამ მიზნით ვქმნით ჯგუფებს, კომისიებს, ვაწარმოებთ მოლაპარაკებას მათთან. ვცდილობთ დავარწმუნოთ, რომ დაუშვებელია სახელმწიფოში ყოველგვარი კონტროლის გარეშე არსებობდეს შეიარაღებული ფორმირებები, რომლის ზოგიერთი წევრი სჩადის დანაშაულობებს, ბოროტმოქმედებას. ვცდილობთ დავარწმუნოთ იმაში, რომ ჩააბარონ იარაღი სახელმწიფოს. რაც შეეხება შეიარაღებულ ძალებს, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანია საქართველოს ეროვნული გვარდიის შექმნა. იგი აუცილებლად შეიქმნება.

— გვარდიაში შევლენ თუ არა ამ შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლები?

— ღირსეული ადამიანები, ვინც არ დაისახავს მიზნად საქართველოს ეროვნულ მთავრობასთან ბრძოლას და კონფრონტაციას, ალბათ შევლენ.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ ეროვნულ კონგრესს არ ცნობთ, თვლით თუ არა კონგრესში შემავალ ცალკეულ პარტიებსა და ორგანიზაციებს ოპოზიციად და როგორი ურთიერთობა გექნებათ მათთან?

— ოპოზიცია შეიძლება არსებობდეს მრავალგვარი და ესეც ერთ-ერთი სახეობაა ოპოზიციისა, მაგრამ ბოლო ხანებში ამ პარტიების მიზნები დაშორდა პოლიტიკას, სამწუხაროდ, მათი მოღვაწეობა გამოიხატება კრიმინალურ მაფიებთან კავშირში და მათ დაცვაში, ერთგვარი ალიანსიც კი აქვთ კრიმინალურ სამყაროსთან და ერთიანი ფრონტით გამოდიან ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ.

— კონგრესის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკაში, ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაში, მთავრობა ყველას აძლევს იარაღის ტარების უფლებას. თქვენი კომენტარი...

— ამერიკამდე ბევრი რამ გვაკლია, ყოველგვარი თვალსაზრისით, მათ შორის დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების თვალსაზრისით და შეგნების თვალსაზრისითაც. ჯერჯერობით არ არის მოსახლეობის ყველა ფენაში იმდენი მოქალაქეობრივი შეგნება, რომ ბოროტად არ გამოიყენონ, ვინ იცის, რა გზებით მოპოვებული იარაღი.

— როგორ აფასებთ მთავრობის სახლთან მიმდინარე აქციას, ოპერის ბაღში მიმდინარე აქციას?

— მთავრობის სახლის წინ აქცია ჩვენგან დამოუკიდებლად დაიწყო. ესენი არიან აღშფოთებული ადამიანები. ასეთი აქციები თბილისის გარდა სხვა ქალაქებშიც მიმდინარეობს. მაგალითად, ზესტაფონში. ხალხი ველარ უძლებს ამდენ ექსცესებს, ამდენ დანაშაულს, ამდენი შეიარაღებული ბანდების თარეშს. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ აქციებით ხალხი თავის პროტესტს გამოხატავს. რაც შეეხება ოპერის ბაღთან მიმდინარე აქციას, იგი საკმაოდ კურიოზულია იმ თვალსაზრისით, რომ აქციის მონაწილენი მოითხოვენ მათზე ცილისწამების შეწყვეტას, თუმცა თავადაც აღიარებენ, რომ მათ რიგებშიც შეიძლება იყვნენ კრიმინალები. ასე რომ, იქ არავითარი მაღალი იდეალებისათვის არ მიმდინარეობს შიმშილობა. ამ ორ აქციას შორის დიდი განსხვავებაა.

— ბატონო ზვიად, როგორ აფასებთ უნივერსიტეტის ბაღში ე.დ.პ.-ის წევრების აქციას? უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კრებამ იგი დაგმო, აქცია კი გრძელდება.

— აქციას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ მას მხარს უჭერს საზოგადოების დიდი ნაწილი, როგორც ნოემბრის, აპრილის ან ზაფხულის აქციების დროს. აქცია, რომელსაც პარტიის წევრების გარდა არავინ არ უჭერს მხარს, დანაშაულებრივია. გარდა ამისა, რამდენად ზნეობრივია აქციის ჩატარება პანთეონში, წმინდა საფლავებზე კარვების გაშლა? ეს პირდაპირ დაუპატიჟებელი სტუმრები არიან, არავის არ სურს მათი იქ ყოფნა, ისინი კი არ იშლებიან. ისინი პატივს არ სცემენ ხალხს. ეს აღმაშფოთებელია და ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაშიც კი ასეთ აქციას დიდი ხანია გარეკავდნენ.

— ბატონო ზვიად, თუ არის ცვლილებები ახალ ავტონომიებთან დაკავშირებით?

— ძალზე გამწვავდა მდგომარეობა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან დაკავშირებით და საქმე იქამდე მივიდა, რომ დამოუკიდებელი რესპუბლიკაც კი გამოაცხადეს და არჩევნებს ატარებენ არარსებული რესპუბლიკის არარსებული კონსტიტუციის საფუძველზე. ამან შეიძლება მიგვიყვანოს ძალიან სერიოზულ შედეგებამდე და ჩვენი პოზიციაც შეიძლება შეიცვალოს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიასთან დაკავშირებით.

— რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა სახალხო ფრონტის დარბაზის განცხადება ოსეთის ამბებთან დაკავშირებით. თქვენი აზრი...

— ჩვენი აზრი გამოვხატეთ მეორე დღესვე მიმართვაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობისადმი და მოვუწოდეთ, არ მიიღონ მონაწილეობა ამ უკანონო არჩევნებში. შემდეგ რესპუბლიკის პროკურორის განცხადება გამოქვეყნდა. აქ ჩამოთვლილი იყო ამ დანაშაულებრივი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი უფლებების გადამეტებისათვის მიყენებული მუხლები. სახალხო ფრონტის დარბაზის განცხადება არის მცდელობა უფრო დიდ პატრიოტებად თავის წარმოჩენისა. ჩვენ ყველა ზომებს ვიღებთ, რომ ეს უკანონო არჩევნები არ ჩატარდეს და თუ მაინც ჩატარდება, მაშინ მივიღებთ ზომებს მისი შედეგების გასაუქმებლად და ალბათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებისათვისაც.

— ბატონო ზვიად, აფხაზეთში ჩამოვარდა თანხმობა. ასე ამბობენ ყოველ შემთხვევაში მრგვალი მაგიდის წარმომადგენლები.

ა) რატომ არ იყო პრესაში გაშუქებული ქართულ-აფხაზური კონსულტაციები?

ბ) რა საფუძველზე მოხდა შეთანხმება, ცხადია იყო კომპრომისები ორივე მხრიდან, კონკრეტულად რა კომპრომისებზე მოხდა წასვლა?

გ) რატომ მაინცდამაინც არძინბა აირჩიეს, ის ხომ მოსკოვში იმყოფებოდა?

— პრესაში ყოველგვარი მოლაპარაკების გაშუქება არ არის მიზანშეწონილი. ზოგჯერ პრესაში მხოლოდ შედეგები შუქდება. ყველა ქვეყანაში ხდება ასე, რომ ქვეყნის შიდაპოლიტიკური ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი პრესაში არ ქვეყნდება. ამას თავისი გარკვეული მიზანი აქვს. ეს კულისებს მიღმა დიპლომატიაა. ამ შემთხვევაშიც ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე. დღეს აფხაზი სეპარატისტები ისე აგრესიულად აღარ არიან განწყობილნი. შეიძლება ეს მათი ტაქტიკის დროებით შეცვლაა. მათ დაინახეს, რომ აფხაზეთში სასწორი უფრო ქართველების მხარეს იხრება, ალბათ. დათმობები ჩვენი მხრიდან არ ყოფილა. ჩვენ მხოლოდ იმის გარანტია მივეცით, რომ აფხაზთა უფლებებიც იქნება დაცული, მაგრამ აფხაზეთის გამოყოფას საქართველოდან არ დავუშვებთ და არც იმ უკანონო მოთხოვნებს შევასრულებთ, რომელსაც ისინი კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით გვიყენებენ. მაგალითად, მათ მოითხოვეს უმაღლეს საბჭოში ადგილების 50 პროცენტი კვოტის გარანტია, რაზედაც უარი მიიღეს, ვინაიდან აფხაზი მოსახლეობა სულ 17 პროცენტია. ასე რომ, მოხდა ურთიერთობის გარკვეული ნორმალიზება. არძინბა აღმოჩნდა ისეთი ფიგურა, რომელიც ჯერჯერობით მდგომარეობას არ ამწვავებს, თუ კი ის გაამწვავებს მდგომარეობას, ეს თვით აფხაზებისთვის გამოიღებს უარყოფით შედეგს. რაც შეეხება პატრიარქზე თავდასხმას, ასეთ რამეს არავის შევარჩენთ. დამნაშავენი პასუხს აგებენ კანონის წინაშე.

— მოსკოვს ავტონომიების დიდი იმედი ჰქონდა, ამაზე ნიშანდობლივ განცხადებაც მეტყველებს. თქვენ რას იტყვით?

— მოსკოვი, როგორც ჩანს, სამაჩაბლოს იმედად დარჩა, ვინაიდან აფხაზეთში არ გამოუვიდა თავისი ხრიკები. ახლა ცოტა აფხაზეთის უშიშროების კომიტეტთან დაკავშირებით არის ბუნდოვანად საქმე. არ არის გარკვეული, რა ძალები გაიმარჯვებენ იქ. მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ უშიშროების კომიტეტშიც ისეთი კადრები დაინიშნება, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის ძირითად ნაწილს აძლევს ხელს. ამის შემდეგ აღარ გვექნება საგანგაშო მდგომარეობა აფხაზეთში. სამაჩაბლოში კი მოსკოვს უფრო დიდი წარმატებები აქვს და იქ ვერ ხორციელდება ჯერჯერობით ჩვენი კონტროლი, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება.

— ერთი კითხვა ეჭვების გასაქარწყლებლად. ეროვნული კონგრესის მეორე სესიაზე აფხაზეთიდან არჩეულმა ერთ-ერთმა კონგრესმენმა განაცხადა, თითქოს თქვენ თერჯოლის კონფიდენციალურ შეხვედრაზე გამოთქვით მოსაზრება, რომ გალის რაიონი უნდა ჩამოერთვას აფხაზეთს. რამდენად რეალურია ეს დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში და ღირს თუ არა ამ საკითხის წამოწევა?

— უბრალოდ, მე არა ერთხელ მითქვამს, რომ ავტონომიების საზღვრები შეიძლება შემცირდეს, ვინაიდან ეს ავტონომიები არის უკანონო. ასეთი რამ სავარაუდოდ კი მითქვამს არა მხოლოდ გალის რაიონზე, არამედ სხვებზეც. იყო ნათქვამი, რომ აფხაზეთის ავტონომია ფარგლებში შეიძლება შევამციროთ, მაგრამ ეს მხოლოდ პირად საუბრებში იყო ნათქვამი. კონცეფცია ამ საკითხზე არ ჩამოგვიყალიბებია. მოკრეს ყური ამას და აფხაზეთში გაავრცელეს ხმა. იქ წყენასაც კი ჰქონდა ადგილი — ოჩამჩირემ, სოხუმმა რა დააშავესო. ამაზე ჯერ არ არის პრაქტიკული მუშაობა და საუბარი, მომავალში ვიფიქრებთ ასეთ საკითხებზე.

— ბატონო ზვიად, გქონდათ თუ არა საშუალება, მოგესმინათ ჯაბა იოსელიანის ინტერვიუსათვის, რომელიც გადაიცა „ამერიკის ხმით“?

— მე ვიტყოდი, რომ ამ ინტერვიუში ბატონმა ჯაბამ აღიარა ყველაფერი, რასაც უარყოფს ამჟამად და რის წინააღმდეგაც აცხადებს შიმშილობას. როდესაც ჩვენ ვეუბნებით, რომ მას კრიმინალები და პროვოკატორები ჰყავს თავის ფორმირებებში, ის ამბობს, რომ ეს ცილისწამებაა და შიმშილობას აცხადებს, ინტერვიუში კი შიმშილობისას ცილისწამებად მიჩნეული ფაქტები აღიარა, საინტერესო იყო ეს. გამოდის, რომ ჯაბა იოსელიანი ცილს სწამებს თვით ჯაბა იოსელიანს. ამის შემდეგ ის ვეღარ იტყვის — ეს ჩემი ხმა არ არისო. ჩვენ ხომ სწორედ მაგას ვეუბნებით, რაც ინტერვიუში თვითონ აღიარა. კერძოდ, მას კრიმინალები ჰყავს მხედრიონში, ამიტომ ის უნდა დაიშალოს, რათა ქართველი ერი საფრთხეში არ ჩავარდეს. ჩვენ მათთან პოლიტიკური დისკუსიები არა გვაქვს. მათთან საქმე მხოლოდ სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა დაიკავონ, მაგრამ ისინი ქართველები არიან და ჩვენ გვეცოდებიან, არ გვინდა, რომ დაიღუპონ. ამიტომ ვუგზავნით ჩვენ წარმომადგენლებს, ვცდილობთ, ასე ვთქვათ, მათ მოლბობას.

— ბატონო ზვიად, არის აზრი, რომ ახალი მინისტრების უმრავლესობა არაკომპეტენტურია. ამას მოწმობს თუნდაც ტელე-რადიო კომიტეტის თავმჯდომარის გადაყენების მოთხოვნა კოლექტივის მიერ.

— მოგახსენებთ, რომ არავინ არ არის გადაყენებული. იქ მხოლოდ ერთმა ჯგუფმა თანამშრომლებისამ გამოაცხადა პროტესტი. ის უბრალოდ აჩქარდა ზოგიერთ საკითხში. ეს ადამიანი საკმაოდ კომპეტენტურია და ალბათ ჯეროვნად გაართმევს თავს ამ სამსახურს და ის კონფლიქტი, რომელიც პიროვნულს გავს, მოგვარდება. სხვა მინისტრებიც ძალიან შესაფერისები არიან. მე მიკვირს, როგორ შეიძლება წინანდელი კორუმპირებულები და კომპარტიის დოგმატიკოსები შევადაროთ ამ პროგრესულ და შესანიშნავ ინტელიგენციას, ეროვნული მოძრაობის აქტიურ წარმომადგენლებს და გამოჩენილ ადამიანებს. პარტაპარატის წარმომადგენლების შედარება შეიძლება ბატონ ნოდარ წულეისკირთან? ქალბატონ ლია ანდღულაძესთან? ბატონ ფილიქს ტყებუჩავასთან? იგი მსოფლიო აკადემიების და უნივერსიტეტების საპატიო წევრია. თქვენ, ალბათ, პარტიულ „ელიტაში“ მოისმინეთ ასეთი საუბარი.

— ბატონო ზვიად. უკვე 20 დღეა საქართველოს ჰყავს პროკურორი, რომლის ყოფნა ამ თანამდებობაზე ეწინააღმდეგება კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებს.

— საქართველოს მთავრობას დამტკიცებაც შეუძლია თანამდებობის პირებისა, არა მარტო დანიშვნა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ერთ დღეში ყველაფერი არ გაკეთდება.

(დასასრული მე-2 გვ.).

მთავრობის მოამბე

საუბარი საქართველოს მინისტრთა საბჭოში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამ მიიღო იტალიის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას კორპორაცია „ანსალდოს“ მმართველი ბრუნო სესარეგო. ისინი რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ „იტალთო 21“ ასოციაციის მოწვევით, რათა გამართონ მოლაპარაკება საქართველოში მანგანუმის პროდუქტების წარმოების ერთობლივი რეკონსტრუქციისა და სრულყოფის შესახებ.

ბატონმა თენგიზ სიგუამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მანგანუმის მრეწველობის განმტკიცების ამოცანების გადაწყვეტაში იტალიელ სპეციალისტთა მონაწილეობას. მან აღნიშნა, რომ საქართველოში არის ნედლეული და პოტენციალი კონკურენტუნარიანი მანგანუმის პროდუქციის ახალ წარმოებათა განვითარებისათვის. რესპუბლიკის გეოგრაფიული მდგომარეობა, საზღვაო ნავსადგურების არსებობა აიოლებს სხვადასხვა ქვეყანაში მანგანუმის გატანას.

ბატონმა ბრუნო სესარეგომ თქვა, რომ იტალიის საქმიანი წრეების წარმომადგენლები დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოს საწარმოებთან და დაწესებულებებთან თანამშრომლობისადმი, საერთოდ ჭიათურის მანგანუმის მაღაროების შემდგომი განვითარების დარგში, კერძოდ ურთიერთხელსაყრელი კონტაქტების პერსპექტივებისადმი.

საუბრის დროს ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ ერთობლივი პროექტის წარმატებულ შესრულებას მოჰყვება არა მარტო სარგებელი საქართველოსა და იტალიისათვის, არამედ იგი ხელს შეუწყობს საქართველო-იტალიის ტრადიციული მეგობრული და საქმიანი ურთიერთობის განმტკიცებას.

საუბარში მონაწილეობდნენ ქალაქ ტრენტოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები, რომლებიც ადგენენ საქართველო-იტალიის ერთობლივ პროექტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, მთელი რიგი სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელები.

სს „საქართველო“

შეხვედრა ჟურნალისტთა კავშირში

ამ დღეებში, საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირში მოეწყო პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლების შეხვედრა რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან ბატონ ჯონი ხეცურიანთან.

მინისტრმა ილაპარაკა სამართალდამცავი ორგანოების, კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში არსებული სტრუქტურებისა და სიახლეების შესახებ.

ადრე, ამა თუ იმ სამართალდამრღვევის გამოძიება ხდებოდა კომპლექსურად — რამდენიმე სამართალდამცავი ორგანოს მიერ. მინისტრმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ახლა გამოძიება უფრო ნაკლებმა ინსტანციებმა უნდა აწარმოონ, რაც მთავარია, არ უნდა დაითრგუნოს პიროვნების უფლებები.

მინისტრი ადვოკატთა კორპორაციის დამოუკიდებლად არსებობასაც შეეხო. მისი აზრით, იგი არ უნდა ემორჩილებოდეს არც ერთ შინაგან საქმეთა ორგანოს და არ უნდა იყოს მათზე დამოკიდებული. შეეხო აგრეთვე დღევანდელ მტკივნეულ საკითხებს, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებასა და სხვ.

ბოლოს, ბატონმა ჯონი ხეცურიანმა პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

იზა ჯაჭვაძე

ფინანსები:

საჭიროა რადიკალური ცვლილებები

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის ეკონომიკა კრიზისულ მდგომარეობაშია, სახალხო მეურნეობაში გრძელდება და ღრმავდება ნეგატიური მოვლენები. ცხადია, ასეთ ეკონომიკას ჯანსაღი საფინანსო ბაზა ვერ ექნება. მაგრამ ამ კანონზომიერებას უკუმოქმედებაც აქვს. ეკონომიკა ვერ გამოჯანსაღდება, სანამ არ განმტკიცდება მისი საფინანსო სფერო.

როგორ დავძლიოთ ამგვარი, თითქოს გამოუვალი სიტუაცია? ამისათვის ხომ ბევრი დრო აღარ არის. იგი შეზღუდულია რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოცხადებული გარდამავალი პერიოდით. თავის დამოუკიდებლობას საქართველო ეკონომიკურად ძლიერი უნდა შეხვდეს.

დარგის პრობლემებზე გვესაუბრება რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი ბატონი გურამ აბსანძე.

— რესპუბლიკის ეკონომიკა განიცდის აშკარად გამოხატულ ფინანსურ დაძაბულობას, რომელიც დღეს არ დაწყებულა, მას ღრმა ფესვები აქვს. მაგრამ ახლა გვმართებს არა ბრალეულების ძებნა, არამედ სიტუაციის რადიკალური გაუმჯობესების გზების გამონახვა. ამისათვის კი საჭიროა ვიქონიოთ მკაფიო სურათი იმისა, თუ რა ხდება დღეს დარგში. ვეცდები, რაც შეიძლება მოკლედ, გაგაცნოთ შექმნილი მდგომარეობა. ეკონომიკის წამყვანი დარგების — მრეწველობის, აგროსამრეწველო კომპლექსისა და კაპიტალური მშენებლობის — ფინანსების სიტუაციაში არათუ გაუმჯობესება, სტაბილიზაციის ნიშანწყალიც არ შეიმჩნევა. მეტად გამწვავდა მდგომარეობა სამომხმარებლო ბაზარზეც. ცენტრის უპასუხისმგებლო და დისკრიმინაციულმა გადაწყვეტილებებმა, ამასთან საფინანსო და საბანკო კონტროლის შესუსტებამ გამოიწვია ხელფასის მაღალი ტემპებით ზრდა პროდუქციის წარმოების ტემპის შენელების პარალელურად.

სრულიად არ წარმოებს მიზანმიმართული ბრძოლა უყაირათობის, დანაკარგების, ზარალიანობისა და არაწარმოებლური ხარჯების შესამცირებლად, რაც კიდევ უფრო ართულებს ფინანსურ მდგომარეობას. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ მიმდინარე წლის 10 თვეში სამრეწველო პროდუქციის მოცულობის გამოშვება რესპუბლიკაში 94 პროცენტს არ აღემატება. ამგვარად, ქვეყანას დააკლდა 527 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მომჭირნეობა და ყაირათიანობა რომ საბაზრო ურთიერთობის წარმატებული მოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა, ეს ცხადზე ცხადია. დღეისათვის კი საქმე გვაქვს უკუმოვლენებთან.

თავად განსაჯეთ: ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში რეგისტრირებული ხარჯებისა და დანაკარგების საერთო თანხამ 2,9 მილიარდი მანეთი შეადგინა. ეს თანხა მნიშვნელოვნად ჭარბობს დანახარჯებს ისეთ დიდ სოციალურ მიმართულებებზე, როგორიცაა ჯანდაცვა ანდა სოციალური უზრუნველყოფა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ უნაყოფო ხარჯებისა და დანაკარგების უდიდესი ნაწილი სწორედ უსწორო მეურნეობრიობისა და დანაშაულებრივი დაუდევრობის შედეგია.

საგანგაშოა მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა-შენახვისა და კონტროლის მდგომარეობა, რის გამოც სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისის, დატაცებისა და გაფუჭების შედეგად მიღებული ზარალი ყოველწლიურად მნიშვნელოვან მასშტაბს აღწევს. 1986-1989 წლებში ასეთი სახეობის დანაკარგების საერთო მოცულობამ 350 მილიონ მანეთს გადააჭარბა, აქედან შარშან 90 მილიონი მანეთი შეადგინა.

ბატონო გურამ, იქნებ გვითხრათ, რა მდგომარეობა შეიქმნა ამ მხრივ ძირითად დარგებში?

— მატერიალურ ფასეულობათა დაცვის პრობლემები მეტად საჭირბოროტოა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მაგრამ განსაკუთრებით მწვავედ დგას სახაგრომრეწვის სისტემაში. 1986-1989 წლებში აქ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკარგების საერთო თანხამ თითქმის 300 მილიონი მანეთი შეადგინა. მარტო შარშან სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის გაფუჭების შედეგად მომხმარებელმა ვერ მიიღო 50 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების დოვლათი, თითქმის 1195 ტონა ხორცი და მისი პროდუქტები. დარგში პრობლემად რჩება უყაირათობითა და პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების დარღვევით გამოწვეული ნარჩენებისაგან მიღებული ზარალი. გარდა ამისა, ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევა ნიშნავს უხარისხო პროდუქციას, აღურიცხავი საქონლის დამზადებას, მის მითვისებას, და ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როცა რესპუბლიკა სასურსათო საქონლის მწვავე ნაკლებობას განიცდის.

ასეთი მაგალითის მოყვანა მრავლად შეიძლება. უკიდურესად რთული ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსში, უპასუხისმგებლობას, განუკითხაობას ამ სფეროში მოჰყვა ის, რომ მიმდინარე წლის 10 თვეში მშრომელებს დააკლდა 166 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

არასახარბიელო ფინანსური სიტუაცია შეიქმნა მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებს დაქვემდებარებულ საწარმოებში და გაერთიანებებში, ვაჭრობაში, ცეკავშირის სისტემაში. ამის შედეგია მაღაზიების ცარიელი დახლები.

— მდგომარეობა ნამდვილად მეტისმეტად რთულია. მაგრამ როგორც იტყვიან, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. რაში ხედავთ გამოსავალს?

— გამოსავალია საბაზრო ურთიერთობა. მაგრამ ყოველმა ჩვენგანმა უნდა შეიგნოს: საბაზრო ეკონომიკა გულისხმობს წესრიგს და კეთილსინდისიერებას, და არა ქაოსსა და ყოვლისმიმტევებლობას. იგი თვითმიზანი არ არის. ეს ადამიანებს, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ჰარმონიის მიღწევის საშუალებაა.

თუმცა არც საბაზრო ურთიერთობაა იმის გარანტია, რომ ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს მომჭირნეობის რეჟიმი. ჭეშმარიტი მეურნის ფსიქოლოგიის გარეშე ჩვენ დასაწყისშივე დავკარგავთ იმ სასიცოცხლო მნიშვნელობის გზას, რომელმაც საბაზრო ეკონომიკასთან უნდა მიგვიყვანოს.

ალა კოკაია,
სს „საქართველო“.

საზღვარგარეთ

პრეზიდენტს იმედი აქვს

სოფია. ბულგარეთის მთავარი პოლიტიკური ძალების მოლაპარაკებაზე მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ოთხშაბათისათვის ქვეყნის ახალი მთავრობა ჩამოყალიბდება, განაცხადა ბულგარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟ. ჟელევმა.

ბულგარეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში, რომელიც კვირას გადაიცა, სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ პოლიტიკურ ძალებს შორის არსებული უთანხმოებები, უწინარეს ყოვლისა, ეხება კონტროლს შინაგან საქმეთა სამინისტროზე, ვინაიდან ამ უწყების მნიშვნელობა ახლა გაზვიადებულია. ეს ინსტიტუტი, მიაჩნია პრეზიდენტს, უკვე აღარ წარმოადგენს იმ „ყოვლისშემძლე“ სახელმწიფო უშიშროებას, რომლის წინაშე ყველა თრთოდა“.

ქვეყნის პრობლემებზე საუბრისას ჟ. ჟელევმა აღნიშნა, რომ ახლა არა აქვს მნიშვნელობა გაფიცვებს, მიტინგებსა და დემონსტრაციებს. ისინი ვერ შეცვლიან სამეურნეო სტრუქტურებს და ეკონომიკურ ურთიერთობებს. ეს უნდა დიდმა სახალხო კრებამ გააკეთოს. მან უნდა მიიღოს იმისათვის აუცილებელი მნიშვნელოვანი კანონები, რომ ახალი მთავრობა შეუდგეს სამეურნეო რეფორმის განხორციელებას. პარლამენტი წარმოადგენს გასაღებს ქვეყნის შემდგომი განვითარებისა და მთელი დემოკრატიული პროცესისათვის.

რეგლამენტის შესაბამისად უფლებამოსილია...

გაიხსნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეოთხე ყრილობა

17 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეოთხე ყრილობა.

ყრილობა გახსნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ი. ლუკიანოვმა**. მან განაცხადა, რომ სსრ კავშირის 2240 სახალხო დეპუტატიდან ყრილობის მუშაობაში მონაწილეობისათვის ჩამოვიდა 1909. ეს ნიშნავს, რომ ყრილობის სხდომები რეგლამენტის შესაბამისად უფლებამოსილია. ყრილობას ესწრებიან ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის, სხვა ავტონომიური ფორმირებების წარმომადგენელი დეპუტატები.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის პრეზიდენტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის მთავრობის, სსრ კავშირის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის წევრები, სხვა თანამდებობის პირები, რომლებსაც უზენაესი საბჭო ირჩევს და ნიშნავს და ყრილობა ამტკიცებს. ყრილობაზე მოწვეული არიან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების თავმჯდომარეები, აგრეთვე საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

პარლამენტარებმა აირჩიეს ფორუმის სამუშაო ორგანოები — ყრილობის პრეზიდიუმი და მისი სამდივნო.

შემდეგ ხმების უმრავლესობით მიიღეს ყრილობის მოსამზადებელი კომისიისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ შემოთავაზებული დღის წესრიგი:

1. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე მესამე ყრილობის შემდეგ არჩეულ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა უფლებამოსილებების ცნობა.
2. ქვეყნის მდგომარეობა და შექმნილი კრიზისული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის დაძლევის ღონისძიებანი (სსრ კავშირის პრეზიდენტის მოხსენება).
3. ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ზოგადი კონცეფცია და მისი დადების წესი.
4. ცვლილებათა შეტანა სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში).
5. კანონის პროექტი სსრ კავშირში საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) მოწყობის წესის შესახებ.
6. კანონის პროექტი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ.
7. სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო არბიტრის დამტკიცება.
8. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს შემადგენლობის განახლება (როტაცია).

ხმების დიდი უმრავლესობით ყრილობის მონაწილეებმა უარყვეს ერთ-ერთი დეპუტატის წინადადება, რომ დღის წესრიგში შეეტანათ სსრ კავშირის პრეზიდენტისადმი უნდობლობის საკითხი.

დამტკიცდა ყრილობის მუშაობის წესი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მისი მუშაობის გაშუქების თაობაზე წინადადებანი, შეიქმნა სარედაქციო კომისიები.

ყრილობა შეუდგა დღის წესრიგის საკითხთა განხილვას.

საღამოს სხდომაზე ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის პრეზიდენტმა მ. ს. გორბაჩოვმა.

დღეს, სამშაბათს ყრილობის მონაწილენი განაგრძობენ ამ მოხსენების განხილვას.

(საქდესის კორ.).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრში

(დასასრული)

— ამ მოკლე ხანში ბატონმა თენგიზ სიგუამ ძალიან ბევრ ხელშეკრულებას, და შეთანხმებას მოაწერა ხელი, მაგრამ პრესაში მათი ტექსტი არ გამოქვეყნებულა.

— ყველა ეს ტექსტი გამოქვეყნდება.

— ძველმა მთავრობამ მიიღო დადგენილება ციტრუსების გატანის აკრძალვის შესახებ ავტონომიიდან. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამან გამოიწვია ქართველი და სომეხი მოსახლეობის უკმაყოფილება, აფხაზებს კი რაღაც ხერხები აქვთ პროდუქტების გატანისა. რა კეთდება ამ მიმართულებით? რა ნაბიჯები გადაიდგმება უახლოეს სესიაზე ეკონომიკის სფეროში?

— მსოფლიოს არც ერთი ცივილიზებული ქვეყნიდან არ ხდება პროდუქციის ასეთი უკონტროლო გატანა. ყველგან არის საბაჟო, ყველგან არის საზღვარი. საქართველო დღემდე იყო, როგორც ღობემორღვეული სახლი. გადიოდა ყველაფერი კონტროლის გარეშე, შემოდიოდა ყველაფერი კონტროლის გარეშე. კონტროლის სისტემა ჯერ დასახვეწია. კოოპერატივებისათვის, რომლებსაც გააქვთ ციტრუსები, შემოღებულია საბაჟო გადასახადი. როდესაც გვექნება საბაჟო, ეს საკითხი მოგვარდება და უკმაყოფილებაც აღმოიფხვრება.

ეკონომიკური ღონისძიებები შესწავლის პროცესშია. აქ უცბად სიახლეების დანერგვა შეუძლებელია. დღეს მთავარია დავდოთ საქართველოსათვის მომგებიანი ხელშეკრულებები. კრედიტების მიღებასაც ალბათ დავიწყებთ.

— ბატონო ზვიად, რას იტყვით მაფიის შესახებ?

— არავინ იფიქროს, მაფიის დამარცხება და ლიკვიდაცია ადვილია. მართალია, არჩევნებში ჩვენ იგი დავამარცხეთ, მაგრამ ის განაგრძობს არსებობას. სხვათაშორის, უზბეკეთიდან მივიღეთ წერილი, რომელშიც ჩვენ შეგვნატრიან — განსაცვიფრებელია თქვენი გამარჯვება კომუნისტურ მაფიაზე, ჩვენ ჯერჯერობით მაფიის მბრძანებლობის ქვეშ ვართ და ვერ ვატარებთ არჩევნებსო.

— ბატონო ზვიად, რას იტყვით ინტელიგენციის იმ ნაწილზე, რომელიც ყოველთვის ხალხს სიმშვიდისა და წესრიგისაკენ მოუწოდებდა, დღეს მისი პოზიცია არ ჩანს?

— ინტელიგენციის ეს ნაწილი, ცრუ ინტელიგენციაა, დღეს კრიმინალური ბანდების მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს ხალხს, რადგან კრემლი უბრძანებს მათ. მაშინ ოპოზიცია იყო მეამბოხე, ახლა კი მაფია არის მეამბოხე. კრემლს ახლა აწყობს მაფიის ამბოხება და ცრუ ინტელიგენციაც მაფიას ემხრობა. ასე შეიძლება გამოვიცნოთ, ვინ როგორი ორიენტაციისაა ინტელიგენციაში.

— ბატონო ზვიად, ამასწინათ კითხვაზე, თუ რა ბედი ელით რესპუბლიკებს, რომლებიც ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელს არ მოაწერენ, ნიშანოვმა უპასუხა — ისინი იცხოვრებენ ძველი ხელშეკრულებით, თუ გასვლა უნდათ, გავიდნენ კანონის შესაბამისად. ჩვენ ალბათ პირველი პრეტენდენტები ვართ გასვლისა და რას იტყვით ამის თაობაზე?

— ნიშანოვს, ჩემის აზრით, იურიდიული შეუსაბამობა მოუვიდა — ახალი ხელშეკრულება რომ დაიდება, ძველი ხომ ძალას დაკარგავს. ძველის დატოვება იქნება იურიდიული უმეცრება, თვითნებობა და ძალადობა. საერთაშორისო სამართლის მიმართ, მაგრამ ჩვენ ეს არ გაგვიკვირდება, ასეთი რამ ბევრი გვახსოვს.

— რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით მოვისმინეთ სოფელ გლდანის მცხოვრები პირის გამოსვლა გლდანში მომხდარი ინციდენტის თაობაზე. მეორე დღეს ის ტელევიზიით ისევ გამოვიდა და ყოველივე უარყო, იგრძნობოდა, რომ წინა გამოსვლისას ის გულწრფელი იყო. ხომ არ ქონდა ადგილი მორალურ ტერორს? მეორე გამოსვლისას მანქანა წარწერით „მხედრიონი" აღარ ფიგურირებდა.

— უნდა მოგახსენოთ, რომ სოფელ გლდანიდან ჩვენთან მოვიდა ქალების დიდი ჯგუფი და გამოთქვა ტელეეკრანზე გამოსვლის სურვილი იმ მიზნით, რომ ტელემაყურებლებისათვის ექსპონებინათ შემდეგი — ეს კაცი „მხედრიონის" წევრებმა გაიტაცეს, აიძულეს ჩვენების შეცვლა და ძალით მოიყვანეს ტელევიზიაში მეორეჯერ გამოსასვლელად. ამ ქალებს ტელეეკრანი არ დაუთმეს, ასეთი მდგომარეობაა.

— ბატონო ზვიად, ცოტათი გაჭიანურდა მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცება, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ საკავშირო მთავრობიდან სანქციებია მოსალოდნელი?

— სანქციები უკვე არის, ეს ყველამ უნდა იცოდეს — არა მარტო ბიუჯეტის, არამედ სურსათისაც. საქართველოს შეუწყვიტეს რძის ფხვნილის მოწოდება და დაფინანსებასაც უმცირებენ. ახლახან ესპანეთის კრედიტის განაწილებისას რესპუბლიკებზე, ბალტიისპირეთი, საქართველო და უზბეკეთი გამოტოვეს — ეს რესპუბლიკები სანქციების ობიექტებია — ე. ი. ჩვენ შავ სიაში ვართ.

— როდის არის სავარაუდო ადგილობრივი საბჭოების არჩევნები?

— ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით ბევრი პრობლემაა. განსაკუთრებით არაქართველი მოსახლეობის რეგიონებში. ალბათ შემუშავდება ყველა რაიონისათვის მისაღები ფორმა საარჩევნო კანონისა. მუნიციპალური არჩევნების შესახებ კანონს უახლოეს სესიაზე გავიტანთ.

— ბატონო ზვიად, თუ არსებობს რუსეთში ძალა, რომელიც იქნება კომპარტიის ოპონენტი?

— რუსეთში არიან ოპოზიციური ძალები, მაგრამ დაქსაქსულნი. ერთიანი ძალა ამჟამად არ არსებობს. რაც შეეხება ელცინის ოპოზიციას, ის არის მორალური, პიროვნული ოპოზიცია, ეს არ არის პოლიტიკური ოპოზიცია, ცალკე არსებული ჯგუფები და პარტიები ერთიან ძალას არ წარმოადგენენ, პოლიტიკური ძალა ჯერჯერობით არ ჩანს.

— რაიმე კონტაქტებს ხომ არ ამყარებთ უნგრეთთან?

— გვექნება ინტენსიური და საქმიანი ურთიერთობა. შეიძლება ითქვას, ერთნაირი გზა განვლო საქართველომ და უნგრეთმა ბრძოლისაც, განთავისუფლებისაც. უნგრეთი თითქმის თავისუფალია და დამოუკიდებელი, მალე იმპერიის ჯარები დატოვებენ მას. საქართველო ჯერ არ არის ამ სტადიაში, მაგრამ, მე მგონი, ამავე გზით მიდის. და ესეც განაპირობებს განსაკუთრებულ სიახლოვეს და სიმპათიას უნგრელი ხალხისადმი.

— არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, პარლამენტის პირველი ნაბიჯების შემდეგ მრავალმა ოფიციალურმა პირმა აღნიშნა, რომ მოსკოვში საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ არის თბილი დამოკიდებულება და არ შეიძლება ანალოგის გატარება ბალტიის ქვეყნებთან.

— საქმე ის გახლავთ, რომ მოსკოვის დიპლომატია ძალიან დაიხვეწა: გრომიკოს ეპოქის შემდეგ დადგა ახალი ეპოქა დიპლომატიაში. სიახლე მდგომარეობს გარეგანი კეთილგანწყობის ჩვენებაში, კარგ პიროვნულ ურთიერთობაში, საქმით კი სულ სხვა რამ ხდება — ეკონომიკური სანქციების განხორციელება. ეს არის საბჭოთა დიპლომატიის ახალი სტილი როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობაში, ისე რესპუბლიკებთან. ვერ ვიტყოდი, რომ მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა გვაქვს, საქმით ჯერჯერობით არ ჩანს. საქმეთ კონფრონტაცია უფრო ჩანს.

— გორბაჩოვმა გამოთქვა თქვენთან შეხვედრის სურვილი. რას იტყოდით ამაზე?

— ამ საკითხს ძალზე ბევრი მხარე აქვს, ჯერჯერობით ვსწავლობთ ამ საკითხს.

— ბატონო ზვიად, შეიცვლება თუ არა ევროპის, მსოფლიოს ქვეყნების დამოკიდებულება საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი?

— დასავლეთში ჯერჯერობით მხოლოდ დისკუსიაა ამ საკითხების ირგვლივ. ბუშს ჰყავს ოპოზიცია, რომელიც ეუბნება — რატომ ხართ მჩაგვრელის მხარეზე და არა ჩაგრული ხალხების მხარეზე, მორალური ასპექტით აკრიტიკებენ ბუშსა და მის პოზიციას, მაგრამ ის თავისი პრაგმატული და პოლიტიკური მოსაზრებებით უპირისპირდება ყოველივე ამას. ჯერჯერობით ასეა.

თუ გაიმარჯვებს სწორედ ის ზნეობრივი მომენტი დასავლეთის პოლიტიკაში, რომელიც პრეზიდენტ რეიგანის დროს ბატონობდა და იყო წამყვანი, აი, მაშინ შეიძლება გადმოიხაროს სასწორი ჩვენს მხარეზე, ჯერჯერობით ეს არ ჩანს.

— რა გავლენას მოახდენს ერაყ-ქუვეითის კონფლიქტი ჩვენსა და ცენტრს შორის ურთიერთობაზე?

— თუ როგორ განვითარდება ერაყ-ქუვეითის კონფლიქტი, ამაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგრამ ჯერ არ არის ნათელი, თუ როგორ განვითარდება ყოველივე ეს. რასაკვირველია, ჩვენ სხვისი უბედურება არ გვახარებს და გულთან ახლოს მიგვაქვს, მაგრამ თუ საქმე კონფლიქტამდე მივიდა, მაშინ დასავლეთის ქვეყნებთან დაახლოვება უფრო ინტენსიური გახდება და მაშინ საბჭოთა ხელმძღვანელობა თავის დაწოლას ჩვენზე და დისკრიმინაციას ალბათ ცოტას შეასუსტებს.

— 10 დღეში სახალხო დეპუტატთა IV ყრილობა დაიწყება მოსკოვში, საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები ჩავლენ თუ არა (გარდა საქართველოდან წარგზავნილი დეპუტატებისა). ყრილობაზე სამოკავშირეო ხელშეკრულება ერთ-ერთ საკითხად გადის. თქვენ პირადად თუ აპირებთ წასვლას?

— ალბათ ვერ წავალ. რაღაც დელეგაცია ალბათ წავა. რაც შეეხება ფედერაციის საბჭოს, სადაც სამოკავშირეო ხელშეკრულების საკითხი იხილება, იქ ჩვენ უარი ვთქვით მონაწილეობაზე. ვინაიდან საქართველო უარს ამბობს ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე, არც განხილვაში ვიღებთ მონაწილეობას.

— ბატონო ზვიად, რა ისმის მოსკოვიდან საქართველოს უშიშროების კომიტეტში მომხდარი ცვლილებების თაობაზე?

— ჩვენსა და მოსკოვის სუკ-ის ხელმძღვანელებს შორის დაახლოებით ასეთი საუბარია — დადგა ჩვენი გაყრის დრო, მათ სიტყვებს გეუბნებით, როგორ გავეყაროთ, იტალიურად თუ ამერიკულად? ჩხუბით თუ მშვიდობიანად? ჩვენ ვეუთხარით, რომ ცივილიზებული ადამიანები მშვიდობიანად იყრებიან, და ახლაც მშვიდობიანად ხდება ეს გაყრა.

— ბატონო ზვიად, როგორ ელევა საკავშირო უშიშროების კომიტეტი იმ სისტემას, რომელიც დანერგილი იყო აქამდე, რომ გარკვეული ფრთა დაზვერვისა შედიოდა საქართველოს უშიშროების კომიტეტის განმგებლობაში?

— იძულებულნი არიან გაუწიონ ანგარიში რეალობას. ისინი ხედავენ, რომ აქაური კომიტეტი მათ აღარ დაექვემდებარება, ძველებურად აღარ მიაწოდებს პოლიტიკურ ინფორმაციებს. ამიტომ რაღაც ფორმა უნდა გამოიძებნოს მშვიდობიანი დამოკიდებულებისა ჩვენთან. შეგუება? როდესაც ცხოვრება გაიძულებს, უნდა შეეგუო, ისინი ცხოვრებამ აიძულა, რომ შეეგუონ. სხვა გამოსავალი არა აქვთ, ძველი დრო აღარ დაბრუნდება, ის დრო, როდესაც აქ მათი ყურმოჭრილი მონა და ინფორმაციის წყარო იყო. თქვენ წაიკითხავდით ბ-ნ ხატიაშვილის ინტერვიუს. იქ ყველაფერია ნათქვამი. უწინდელი ურთიერთობა აღარ იქნება. რაღაც დიპლომატიური ურთიერთობა შეიძლება იყოს მათ შორის.

— რამ განაპირობა დღევანდელი დაძაბული ვითარება საქართველოში?

— ეს განაპირობა საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ ჩვენს მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებამ, ეროვნული მთავრობის არჩევამ. ამან გამოიწვია ცენტრის ასეთი საშინელი რეაქცია და ყველაფერი ის, რაც ცენტრის ინსპირაციით დღეს ხდება საქართველოში. ამ შიმშილობის ჩათვლით მთელი ეს არეულობა ცენტრის მიერ არის ინსპირირებული. ეს წინასწარმეტყველურად განაცხადა გორბაჩოვმა სესიის მეორე დღეს. ცოტა ადრე მოუვიდა განცხადება, ეს — Post factum უნდა გაეკეთებინა, მაგრამ მან წინასწარ უკვე იცოდა, რომ საქართველოში ეს ამბები დაიწყებოდა და უნებლიედ წამოსცდა, დროში გაუსწრო მოვლენებს.

— ბატონო ზვიად, თქვენი აზრით რომელი ქვეყნები დაუჭერენ მხარს საქართველოს მესამე სახელმწიფოს როლში?

— ძალიან ძნელი საკითხია. ჯერ ოფიციალური დასავლეთის პოზიციის შეცვლა უნდა მოხდეს. ისინი ერთმანეთს უთანხმებენ პოზიციებს, ინტეგრირებულნი არიან ყველანი. როგორც კი საერთო პოზიცია შეიცვლება, ყველა დაგვიჭერს მხარს.

— ბატონო ზვიად, დასავლეთის პრესაში მრავალჯერ აღინიშნა, რომ ბალტიის ქვეყნები გამოთქვამენ უკმაყოფილებას დასავლეთის სამყაროს მიმართ, რომ ვერ იღებენ სათანადო მხარდაჭერას. თვლით თუ არა თქვენ, რომ ამის ერთადერთი მიზეზი არის ერაყ-ქუვეითის კონფლიქტი?

— არა მარტო ერაყ-ქუვეითის კონფლიქტი. ამ საკითხთან კავშირშია განიარაღების პრობლემაც, ბირთვული იარაღის პრობლემები თავიდანვე უკავშირდებოდა ამ საკითხს. ერაყ-ქუვეითის პრობლემამ კიდევ უფრო დააახლოვა დასავლეთი და საბჭოთა კავშირი. და ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი პოზიციებიც გააძლიერა, ვინაიდან ამ სიტუაციაში კავკასიაში სტაბილურობა აუცილებელი ხდება, როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის. არ დაგიმალავთ, რომ უკვე შეერთებული შტატები სვამენ საკითხს თბილისში საკონსულოს გახსნის შესახებ. არის ლაპარაკი სამხედრო ჰოსპიტლების მშენებლობაზე ამერიკელი დაჭრილებისათვის საჭიროების შემთხვევაში.

— ბატონო ზვიად, ერაყ-ქუვეითის საომარი მდგომარეობის კულმინაციასთან მისვლის შემთხვევაში, ხომ არ იქნება სსრკ-დან გასვლის გაადვილების შანსი? საქართველოს ბუფერული სახელმწიფოს როლში დაშვებით?

— არა. საქართველო ბუფერულ როლში არ გამოდგება. იგი შეიძლება პლაცდარმი გახდეს. საქართველოში სტაბილურობის აუცილებლობით არის გამოწვეული იმპერიის ორგვარი დამოკიდებულება ჩვენდამი — თან ბლოკადით გვაჩრჩობს, თან კეთილგანწყობასაც ავლენს. ფრთხილი პოლიტიკა აქვს. დასავლეთის ქვეყნებიც, მე მგონი, დაინტერესებულნი არიან კავკასიაში სტაბილურობით. ამაზე მიუთითებს ის საიდუმლო თათბირი, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტში ამ რამდენიმე დღის წინ შესდგა საქართველოს საკითხზე.

— ბატონო ზვიად, არის თუ არა საქართველოში სტრატეგიული დანიშნულების ბირთვული იარაღი?

— არის, რასაკვირველია.

— ბატონო ზვიად, თუ საქართველო განთავისუფლდება, დასჭირდება თუ არა მას ბირთვული იარაღი?

— გააჩნია, რა სტატუსი ექნება მომავალში საქართველოს და რამდენად ექნება საერთაშორისო დაცვა, საერთაშორისო სამართლის დაცვა და რამდენად იქნება ის ჩართული საერთო ევროპულ სახლში და ინტეგრაციის პროცესში. ამაზეა ყველაფერი დამოკიდებული.

— ბატონო ზვიად, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ საერთო კავკასიური სახლის მშენებლობა?

— ეს არის, მე ვთვლი, ძალიან ბუნდოვანი და არა საჭირო საუბარი. საერთო სახლზე რომ ვლაპარაკობთ, ჯერ ჩვენი საკუთარი სახლები უნდა გვქონდეს. უსახლკარო ადამიანები რომ შეიკრიბონ და ისაუბრონ რაღაც საერთო სახლზე, ეს არის უტოპია და ფანტაზია. ჯერ ყველას თავისი საკუთარი სახლი უნდა ჰქონდეს, ჯერ ვიფიქროთ ჩვენ-ჩვენ სახლებზე და ყველამ თავის სახლს მიხედოს.

გულახდილად

ამღვრეულ წყალში

მებადური „ყალბოლოგები"

მარქსმა, ენგელსის თანადგომით, კაცობრიობას „ულმერთობის მოძღვრება" შეუქმნა. ეს ყალბი მოძღვრება სამოქმედო იდეოლოგიად გადაიქციეს ე. წ. სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც დროთა ვითარებაში ორ ფრთად გაიყვნენ: „ბოლშევიკებად" და „მენშევიკებად". ამჟამად ყველასათვის ცნობილია, რომ ეს იყო კრებული ავაზაკებისა და ყაჩაღებისა, თავზეხელაღებული ავანტურისტებისა და შარლატანებისა, კაცისმკვლელებისა და ბავშვისმკვლელებისა.

ამ სატანურმა მოძღვრებამ საქართველოშიც შემოაღწია, სწორედ მან იმსხვერპლა უსაჩინოესი ქართველი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე, მე-19 საუკუნის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი და სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის წამებული ერისკაცი, წმინდა ილია მართალი. უწყოდნენ ეშმაკთან თანაზიარებულმა რენეგატებმა, სანამ ილიას სათნო გული ძგერდა, მათ გულისწადილს აღსრულება არ ეწერა, ილიას სახით ქართველმა ერმა დაკარგა სულიერი მოძღვარი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მედროშე და ნათელი გზის მსახავი, მის ნაცვლად მოევლინა ულმერთობით გამსჭვალული რკინისნებიანი ფანატიკოსები, რომელთათვისაც არავითარ ეროვნულს ფასეულობა არ გააჩნდა. სწორედ ილიას მკვლელობა იყო 1921 წლის 25 თებერვლის საწინდარი.

„...არა უფალი არს მათთან, არამედ სატანა არის მათ კრებულთა შინა, რომელსაც უხარის, თუ ვითარ უარ ჰყვეს ძე ღვთისა და სისხლი მისი წყევითა მიიღეს. თავთა თვისთა და შვილთა თვისთა ზედა" — იოანე (გამოცხადება).

ქართველთა მრავალი თაობა იმკის ღვთისგან განმდგარი ვაიწინაპრების მიერ დათესილ შხამიან ნაყოფს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ სოციალისტური იდეოლოგია საწყისშივე გამორიცხავს ეროვნულ აზროვნებას და საქმეს, ავიწყებს ადამიანს აღასრულოს მისი მთავარი მისია ამქვეყნად: ადიდოს ღმერთი და ემსახუროს მშობელ ერს. 69 წელზე მეტხანს კომუნისტური ძალადობის ქვეშ ჰგმინავდა საქართველო, იმ კომუნისტურისა, რომელიც სოციალისტური იდეოლოგიის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენს.

დღეს საქართველოში მრავალი პარტია მოქმედებს, მათ შორის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ადრინდელი სოციალ-დემოკრატების მემკვიდრედ აცხადებს თავს, ხოლო სოციალისტური ისტერიის ამ განუყოფელმა ნაწილმა რა „კეთილდღეობაც" მოუტანა თავისი მოღვაწეობით საქართველოს, ეს ცნობილია ქართველობისათვის. ბატონ სვიმონ გამსახურდიას სტატიაში „საქართველოს დროშები... და ჩვენი დაბნეულობა", აღნიშნულია: „...ნოე ჟორდანიას საქართველოდან წასვლის პერიოდში პეტრე გელეიშვილს რომ ეკითხებოდნენ, რა ხდებაო, პასუხობდა: „რა მოხდა? რაზე ღელავთ? ერთი სოციალისტური პარტია მიდის, მეორე მოდის, სხვა არაფერი, საღელავი რაა?" (მორჩა და გათავდა, რა არის აქ გაუგებარი? — ს. ჯ.).

ახლა რა ხდება?!.. ერთმა სოციალისტურმა ხროვამ გამოსწურა თავისი ბატონობის ქვეშ მყოფ ხალხს, რისი წაღლეტაც შეიძლებოდა, გაიხრწნა ძირის-ძირობამდე და სულს ღაფავს, მის სანაცვლოდ კი მეორე შემოიჭრა პოლიტიკურ ასპარეზზე ფრთების გასაშლელად.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ პატ. გ. მუჩაიძემ ტელევიზიის ერთ-ერთ ადრინდელ გადაცემაში დაგმო მოძმე კომუნისტური პარტია და განაცხადა, რომ იგი მარქსისტი კი არა, თურმე მარქსოლოგია (?), ე. ი. „ყალბომანი" კი არა, „ყალბოლოგი" ვარო. რა განსხვავებაა ულმერთოსა და ულმერთობის მეცნიერს შორის, ეს პირადად ჩემთვის გაუგებარია, სოციალისტების მიხდომა-მოხდომაში კი დაილია საქართველო.

ქართველი საზოგადოების სოციალისტური ფსიქოზით განმეორებითი დაავადების საშიშროება არ არსებობს, მაგრამ სამწუხაროა, რომ ზოგიერთნი კვლავ ცდილობენ ერის ზნეობრივ გარყვნას და მის უფსკრულში გადაჩეხვას, ახერხებენ საზოგადოების გარკვეული ნაწილის შეცდომაში შეყვანას და ულმრთობის გზაზე დაყენებას, „ყალბომანიით" აავადებენ ჩვენს თანამემამულეთ. რაოდენ მიმძიმს ჩემი სისხლ-ხორცის მიმართ მსგავსი ტერმინის გამოთქმა, მაგრამ ამას იმად კი არ ვიქმ, რომ ვინმე გავალიზიანო, არამედ იმად, რომ ჩემი მცირედი და მოკრძალებული წვლილი შევიტანო მოტყუებულთა გამოფხიზლებაში. ეს შესავალიც იმიტომ დამჭირდა, რათა ქართველთათვის შემეხსენებინა თუ ვინ იყვნენ სოციალ-დემოკრატები, რა ჭირი დაატეხეს მათ საქართველოს და რა საქმიანობას ეწევიან ამჟამად.

●

10 დეკემბერს საქართველოს ტელევიზიაში განცხადებით გამოვიდა სოციალ-დემოკრატების თავმჯდომარე პატ. გ. მუჩაიძე. მისმა გამოსვლამ უნებურად ამღვრეულ წყალში ოქროს თევზზე მონადირე მებადური გამახსენა. იფიქრა ალბათ პატ. გურამმა, არეულია ახლა საქართველო და სწორედ რომ დამიდგა დრო ჩემი „მეცნიერება" მოვახვიოო თავს ქართველობას.

თავიდან პატ. გ. მუჩაიძე აცხადებს, რომ იგი მიესალმება მრგვალი მაგიდისა და ეროვნული კონგრესის შეთანხმებას, მაგრამ იქვე გამოთქვამს სრულიად უსაფუძვლო, ქართველ ხალხში პანიკის დასათესად გამიზნულ განცხადებას, თითქოს საქართველოში ორხელისუფლებიანობას დაესადგურებინოს. პატ. გ. მუჩაიძის გასაგონად მინდა განვმარტო, რომ საქართველოს ამჟამად ერთადერთი კანონიერი, ქართველი ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეული ხელისუფლება განაგებს და მას საქართველოს უზენაესი საბჭო ჰქვია, რომელსაც ქართველმა ერმა უტყუარი ბრძნული ალღოთი ეროვნული პარლამენტი შეარქვა. აგრეთვე მინდა შევახსენო, რომ თვით ეროვნული კონგრესი არ აცხადებს ხელისუფლების ორგანოზე პრეტენზიას, და თუ ამას იგი საქმით არ დაამტკიცებს, საბოლოოდ გაიტეხს სახელს ერის წინაშე.

ამასთანავე პატ. გ. მუჩაიძე გამოთქვამს სრულიად უპასუხისმგებლო ბრალდებას, რომ თუ საბჭოთა ჯარი საქართველოს ტერიტორიას დაიკავებს, ეს უზენაესი საბჭოსა და ეროვნული კონგრესის დანაშაული იქნება ერის წინაშე. თურმე ნუ იტყვით, უზენაესი საბჭოცა და ეროვნული კონგრესიც არაფრისმაქნისები ყოფილან, ერთი სული აქვთ, როდის მოიხმობენ საბჭოთა ჯარისკაცებს „გათავხედებული" ქართველების დასათრგუნავად და ძლივს გველირსა ქართველობას კეთილგონიერი და პატიოსანი თავკაცი ნაკომუნისტარი გურამ მუჩაიძის სახით.

ჯერ ერთი, მოდავე მხარეებს შორის არ შეიძლება ორივე დამნაშავე იყოს, მეორეც, თუ მართლაც გაგვიწყრა ღმერთი და ზოგიერთი პარტიის პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებელი მოქმედების, ან კრემლის მიერ ინსპირირებული სხვა მიზეზების გამო, მოხდა საბჭოთა ჯარების შემოსვლა საქართველოში, მტყუანსა და მართალს ქართველი ერი თვით გაარჩევს და ეს საკითხი დენაციონალიზებული ინტერნაციონალისტების განსასჯელი არ გახლავთ.

აქვე, პატ. გ. მუჩაიძე საკითხის ოპტიმალურ გადაწყვეტილებას პოულობს და გვთავაზობს უზენაესი საბჭოსა და ეროვნული კონგრესის ორ პალატად ჩამოყალიბებას; ეს კი მართლაც რომ ორხელისუფლებიანობის საფუძველი გახდება. კარგად უწყის პატ. გურამმა, რომ ამ ორ ორგანოს შორის, მათი პოლიტიკური მრწამსის პოლარული განსხვავების გამო, მუდმივი წინააღმდეგობის ვითარება შეიქმნება და საქართველო პერმანენტული დავა-კამათის ფსიქოზში გადაიჩეხება. სწორედ ამ დროს გამოგვიჩნდება ქართველებს „ერის მხსნელი" გ. მუჩაიძის სახით და ქართველ ხალხს სოციალისტური სამოთხისკენ წაგვიძღვება. უკაცრავად, პატ. გურამ, ქართველ ხალხს წითელი ზღაპრებისა აღარ სჯერა!

გარდა ამისა, ვითომ რად უნდა გაერთიანდეს დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით და უცხოელი ექსპერტების მეთვალყურეობის ქვეშ კანონიერად არჩეული რეალური ხელისუფლების მქონე, ხალხის ნების გამომხატველი ორგანო ძალზედ საეჭვო პირობებში არჩეულ ეროვნულ კონგრესთან და რად გაუყოს მას ხელისუფლება, მითუმეტეს, როდესაც უკანასკნელი თავისი შინაარსით ამის კატეგორიული წინააღმდეგია?

პატ. გ. მუჩაიძე ამას არ სჯერდება და ქართველი ხალხის შიმშილობითა და ეკონომიური სიდუხჭირით შეშინებას ცდილობს. ამასთანავე პრეტენზიულად აცხადებს, რომ თუ ქართველები სოციალ-დემოკრატებს მიენდობიან, ისინი უმალ გადაწყვეტენ ყოველგვარ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემას. ღმერთო კი მომკალი, იმაზე მეტად რა უნდა ვიშიმშილოთ, რაც სოციალიზმის იდეების ერთგული ფანატიკოსების ხელში გვხვდა წილად?! ნუ სწუხს პატ. სოციალისტი, ქართველი ერის ნებით არჩეული პარლამენტი ალბათ შეძლებს ამ საჭოჭმანო საკითხის მოგვარებას გ. მუჩაიძის გარეშე. ასეთი უპრინციპო განაცხადი კი იგივეა, რომ ბრძოლად შემართული მეომარი ქართველი კაცი შუა რკენაში ისრის განაკაწრით შეაშინო და ბრძოლისათვის ზურგი შეაქცევინო. ტყუილად ცდილობს პატ. გ. მუჩაიძე ქართველების სიდუხჭირით დაშინებას, არ დაკნინებულა ქართველი კაცი იმდენად, რომ სოციალისტების მსგავსად „კრემიანი პონჩიკები" ანაცვალოს თავისუფლების წმინდა იდეალებს.

საბოლოოდ პატ. გ. მუჩაიძე აშკარად იხსნის ნიღაბს და არაორაზროვნად აცხადებს, რომ იგი მომხრეა იმპერიული ძალების მიერ შემოთავაზებული სამოკავშირეო ხელშეკრულებისა, იმ კაბალური დაქვემდებარებისა, რომელსაც გვთავაზობს მოსკოვის ამჟამინდელი ხელისუფლება და რომლის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოდიან მისგანვე უმიზეზოდ დადანაშაულებული ეროვნული პარლამენტი და ეროვნული კონგრესი. ამ განცხადებით პატ. გ. მუჩაიძემ საბოლოოდ აჰხადა ფარდა თავის ვნებათაღელვას და კიდევ ერთხელ დაამტკიცა ნათლად, რომ სოციალ-დემოკრატები კვლავ ერთგულნი რჩებიან ყოველი ერის დამღუპველი ცრუინტერნაციონალიზმის იდეებისა და თუ საჭირო შეიქმნება, კიდევ ერთხელ გაჰყიდიან საქართველოს „მოძმე" ერების საკეთილდღეოდ.

გულწრფელად მინდა მოვუწოდო ყველა ქართველს, განსაკუთრებით კი თრიაქივით დროებით დამათრობელი სოციალისტური იდეებით გატაცებულთ, ღმერთმა ნუ გვაფიქრებინოს, რომ „იგინი განგდებულ არიან და არღა მოიქცევიან" (დავით წინასწარმეტყველი), მაგრამ განა აღარ დადგა იმის ჟამი, რომ მთელმა ქართველმა ერმა და კერძოდ ყოველმა ქართველმა მოიცილოს „ყალბომანიის" ცრუმეცნიერება, „ბოლშევიკური" იქნება ის, თუ „მენშევიკური", დაადგეს ჭეშმარიტ გზას ერის მსახურებისას და განუცხადოს „ულმერთობის მოძღვრების" მქადაგებელთ უფლის სიტყვებით: „ნუღარა იყოფინ ნაყოფი შენთაგან".

სოსო ჯაჯანიძე

მონსტერას ყვავილობა

ახლახან ამ დეკემბრის დამდეგს, თბილისში (რუსთაველის გამზირი, 44) — წიგნის ხელმოწერის მაღაზიის დარბაზში აყვავდა მონსტერა...

ამ ფოტოზე სწორედ ეს უცნაური ყვავილია წარმოდგენილი.

მაღაზიის მუშაკები მეუბნებიან, მონსტერა ერთმა თბილისელმა მანდილოსანმა შემოგვთავაზა: ასაკში ვარ, მოვლა მიჭირს, იყოს და იხაროს თქვენს დარბაზშიო.

— მონსტერა დეკორატიული, ერთლებნიანი ყვავილოვანი მცენარეა ნიუკასებთა ოჯახისა. იგი მექსიკისა და გვატემალის ტროპიკული ტყეების ბინადარია— განგვიმარტა ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმის განყოფილების გამგემ ზაირა ღვინიანიძემ, — საქართველოში მონსტერა ფართოდაა კულტივირებული, როგორც ოთახის დეკორატიული მცენარე.

გვანჯი მანია,
სს „საქართველო"
ფოტო ავტორისა.

პრობლემა

წართმეული წიაღისეული და გაჩანაგებული ბუნება

ქართული მანგანუმის დამუშავების დაწყებიდან 110 წელი გავიდა. ქალაქ ჭიათურის ზონის მოსახლეობაც სათანადო შემართებით ემზადებოდა ამ მართლაცდა საამაყო თარიღის აღსანიშნავად, მაგრამ მათ შეგნებულად უარი განაცხადეს გასული წლის სისხლიანი 9 აპრილის შემდეგ ყოველგვარ ზეიმზე და ერთსულოვნად ამოუდგნენ გვერდში მგლოვიარე საქართველოს.

ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც წარმოშვა მანგანუმის საბადოს ექსპლუატაციამ, იმ მცდარი მეთოდებით მუშაობის შედეგია, რაც ღია კარიერული წესით მანგანუმის დამუშავებას მოჰყვა. მრავალი წელი და, ალბათ, საუკუნეც კი დასჭირდება მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

ფაქტია, რომ სერიოზული მოკვლევის საგანი უნდა გახდეს დანაშაულებრივი მოქმედებანი, რაც ამ რეგიონში მოხდა ბოლო წლების მანძილზე.

●

სტატისტიკური მონაცემები ნათლად მეტყველებს, რომ მანგანუმის მრეწველობას შეეწირა მრავალი ადამიანის სიცოცხლე, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი ტრავმირებული, ფიზიკურად დასახიჩრებული ან მორალურად და ფსიქიკურად დეგრადირებულია. ძნელია, ქალაქად თუ სოფლად მოიძებნოს ოჯახი, რომლის წევრი ან რამდენიმე მათგანი საწარმოო ტრავმით ან პროფდაავადების განუკურნავი სენით არ იყოს შეპყრობილი. და რაოდენ სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი უკვე თავს იჩენს ადამიანთა შთამომავლობაზეც. არადა, ვინც ქართველი ერის ისტორიაში ცოტათი მაინც ჩახედულია, იცის, რომ ზემო იმერეთის ანუ ისტორიული არგვეთის. დიდი სამთავროს ამ საოცარმა ხალხმა თითქმის ყველა ისტორიულ ავბედითობას გაუძლო; თავისი ვაჟკაცური შემართებით თუ გეოგრაფიულად მიუვალი ადგილების წყალობით დღემდე ნატიფი, სრული ეთნიკური ზნე-ჩვეულება შემოინახა. ახალ პირობებში კი ადამიანთა სულიერ და ფიზიკურ ხელყოფას თან მოჰყვა ბუნების ბარბაროსული აოხრება. ძნელად შესაგუებელია ზემო იმერეთის წალკოტი ბუნების ფიზიკური ხელყოფა, ძნელია შეეგუო ბუნების ასეთნაირი აოხრების ფაქტებს.

კომუნიზმის აშენების ილუზიებით გაბრუებულმა საკავშირო თუ ადგილობრივმა მთავრობის მოხელეებმა ისეთი ენთუზიაზმი მიაგებეს ქართული მანგანუმის წარმოებას, რომ თავგზააბნეული ადგილობრივი მოსახლეობა აზრადაც ვერ მოვიდა, თავისსავე არსებობას ძირს რომ უთხრიდა.

რუსეთის ამოცანები სამაგალითოდ განხორციელდა ძმობის, ერთობისა და ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის სულისკვეთებით გამსჭვალული ლოზუნგებით. გახსოვთ, სტახანოვურ მოძრაობას, უკრაინელი მეშახტის ალექსანდრე სტახანოვის მუშურ შემართებას, პირველად საქართველოში — ჭიათურაში აღმოაჩნდა მიმდევრები. აქედან მოყოლებული კი სად არ გაიგონებდით, რომ მავანმა და მავანმა გეგმიური 15 ტონის ნაცვლად 20 ტონა მანგანუმი მოანგრია და სახელმწიფოს მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნაო. არაა დარჩენილი მთავრობის უმაღლესი ჯილდოები და ორდენები, რომლის კავალრებიც ჭიათურმანგანუმის საამაყო კოლექტივი და მათი ხელმძღვანელები არ ყოფილიყვნენ. და, მაინც 50-იანი წლებიდან „წინგადადგმული ნაბიჯია", როცა მანგანუმის მოპოვებაში საფუძველი ეყრება ღია წესით ანუ ველის გადახსნით, ღია კარიერული წესით მანგანუმის მოპოვებას, რაც „სამშობლოს" შედარებით იაფი დაუჯდა.

სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ტყეების, სავარგულ-სახნავ-სათესი მიწების, სათიბების, ისტორიული დასახლებების, ძეგლების აოხრება, განადგურება.

პირისაგან მიწისა აღიგავა თორმეტი ისტორიული სოფელი, დასახლება, მოსახლეობის ერთიანი, ეთნიკურად ჩამოყალიბებული ერთობა.

ზემო იმერეთის ამ კუთხიდან ორჯერ, ან სამჯერაც კი მამაპაპური ადგილიდან გადასახლების პროცესმა ხელი შეუწყო მკვიდრი მოსახლეობის მასობრივ გასვლას საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. რაოდენ სამწუხაროა, რომ ეს აქცია ჩვენმა რუსმა „კეთილისმყოფელებმა" ისევ ქართველებზე, უფრო სწორად, ქართული მანგანუმის წარმოებაში დასაქმებულ ხელმძღვანელებზე დაყრდნობით და მათივე ხელშეწყობით მოიმოქმედეს. დადასტურებულია, რომ ადრეულ წლებშიც იყო „დაწოლა ზემოდან" ღია კარიერების წესით მარგანეცის დასამუშავებლად, მაგრამ მაშინდელი ხელმძღვანელობა ამაზე კატეგორიულ უარს აცხადებდა, მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ჭიათურმანგანუმის ტრესტის (მაშინ ასე იწოდებოდა) ყოფილი მმართველი შალვა შეყლაშვილი.

დღევანდელი მონაცემებით, შეიძლება არ გაჭირდეს სტატისტიკა იმ გატანილი სიმდიდრისა რაც მანგანუმთანაა დაკავშირებული, რადგანაც თანამედროვე გამომთვლელი მანქანისთვის ეს ჩვეულებრივი დაპროგრამების შედეგად ხდება, მაგრამ იმის გასაგებად, თუ რა დაშავდა, თუნდაც ეკოლოგიის თვალსაზრისით ზემო იმერეთის ზეგანზე მანგანუმის ასეთი ბარბაროსული დამუშავების შედეგად, მერწმუნეთ, გამომთვლელი მანქანაც უძლური აღმოჩნდება.

ძნელია არსებული მდგომარეობიდან სათანადო დასკვნა გამოვიტანოთ. რა მომენტში, რა დროს, ვის მიერ იქნა დაშვებული ესოდენ მიუტევებელი შეცდომა, ერის ინტერესების შემლახველი და ქართული მიწა-წყლის ასეთი გულგრილი გამეტება. ფაქტები კი მეტყველებენ, რომ მანგანუმის დამუშავებაში დასაქმებულმა ვაიხელმძღვანელებმა მკერდი დაიმშვენეს სხვადასხვა ორდენებითა და მედლებით. შექმნეს და შემოინახეს მძლავრი საცხოვრებელი ბაზა მომავლისათვის, ამასთან ერთხელაც არ დაფიქრებულან იმაზე, რომ ოდესმე დადგებოდა განკითხვის დღე:

არსებულ მდგომარეობას ხელი შეუწყო არა ადგილობრივი კადრების მომძლავრებამ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ეს ტრადიცია კი ბოლომდე იქნა შენარჩუნებული, შეიძლება „შეგნებულადაც".

ასეთი მიდგომის გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ქალაქს წლების მანძილზე არ ჰყოლია გულშემატკივარი ხელმძღვანელი, რომელიც თუნდაც მთელი სიმკაცრით დააყენებდა საკითხების მთელ წყებას, რაც რეგიონის პრობლემებთანაა დაკავშირებული. ასეთი კი ბლომად დაგროვდა, რაზეც სამართლიანად წყდება გული ჭიათურის მაღაროს მუშას. დღეს ყველასათვის ნათელია, რომ მაღაროელის შრომა მიჩნეულია ყველაზე მძიმე კატეგორიად. მაღაროელი მუშა დილით სახლიდან გამოსვლისას ცოლშვილს ემშვიდობება, რადგანაც შინ დაბრუნების გარანტია არა აქვს. აი, ასეთ პირობებში ადამიანები საუკუნეზე მეტია შრომობენ და უდიდეს სამსახურს უწევენ შავი მეტალურგიის მძლავრ სისტემას, რასაც საკავშირო სამინისტრო ჰქვია. ნუთუ ღირსად არავინ ჩათვალა „ცენტრიდან", ამ ხნის განმავლობაში გულისხმიერება გამოეჩინა ესოდენ მძლავრი მუშათა კლასისათვის? საბოლოოდ რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს? სიმართლე გამხელილად უნდა ითქვას: წაიღეს, მოიხმარეს, გამოიყენეს და ანგარიში არ გაუწიეს ქართველ ხალხს, ხოლო რაც საქართველოს ბუნებას ბარბაროსული აოხრებით დაუშავეს, უფლებას გვაძლევს ვაღიაროთ, რომ რუსეთ-საქართველოს „ძმობისა და ურთიერთგამტანობის" ნიშანსვეტად დიდხანს იღაღადებს მოუშუშებელი ჭრილობა — ღია კარიერები — ჩვენს „კეთილისმყოფელთა" ნაღვაწი და ნამოქმედარი.

მარატ ღვალაძე

შიდა ქართლი

მხარს უჭერენ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას

საქართველოს სასოფლო მშენებელთა სახელმწიფო კონცერნ „საქსოფლმშენის“ მრავალათასიანი კოლექტივი მხარს უჭერს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს პოლიტიკას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღსადგენად და მისი ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია, აღნიშნულია კოლექტივის განცხადებაში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, ვინაიდან იგი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას და გამოხატავს რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო ნებას. იგი უთუოდ წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის გადადგმულ დროულ და სწორ ნაბიჯს.

ჩვენი შრომითი კოლექტივები ასევე მხარს უჭერენ შიდა ქართლში დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღების ღონისძიებებს.

კონცერნში გაერთიანებულმა ორგანიზაციებმა და საწარმოებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს რესპუბლიკაში 1986-1989 წლებში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის 40-მდე სასოფლო დასახლების მშენებლობისას. მზად ვართ ეს გამოცდილება ახალი ენერგიით მოვახმაროთ შიდა ქართლის რეგიონში ახალი დასახლებების და საცხოვრებელი სახლების მშენებლობას და აქტიური მონაწილეობა მივიღოთ მის პრაქტიკულ განხორციელებაში.

ჩვენს კოლექტივებს განზრახული აქვთ თავიანთი ფულადი სახსრებითა და მასალებით ააშენონ საცხოვრებელი სახლების გარკვეული რაოდენობა და უსასყიდლოდ გადასცენ ისინი ახალმოსახლეებს. ამ მხრივ უკვე დაწყებული გვაქვს მოსამზადებელი სამუშაოები.

იმედია, რესპუბლიკის ბევრი ორგანიზაცია და საწარმო, უწინარესად მშენებლობაში დასაქმებული ორგანიზაციები გამოეხმაურებიან ჩვენს წამოწყებას და თავიანთ წვლილს შეიტანენ ამ მამულიშვილურ საქმეში.

სს „საქართველო“.

როდის გამოვა ოსეთში ქართული გაზეთი?

საზოგადოებრიობამ იცის, რომ თვე-ნახევრის წინ ქალაქ ცხინვალში ქართული საოლქო გაზეთის „საბჭოთა ოსეთის“ შემოქმედებითმა კოლექტივმა რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების სწორი შეფასების შედეგად სარედაქციო კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე საგანგებოდ იმსჯელა გაზეთის სახელწოდების შეცვლაზე და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისთვის „ჩვენი სამკვიდრო“ ეწოდებინა. სარედაქციო კოლეგიამ გაზეთის სახელწოდების შეცვლის შესახებ ოფიციალური მიმართვა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს გადაუგზავნა განსახილველად და თანამშრომლები დემოკრატიის სიკეთეში დარწმუნებულნი მაღალი შემართებით შეუდგნენ გაზეთის პირველ ნომერზე მუშაობას. იმ დღეს „ჩვენი სამკვიდროს“ ნომრის მასალები სტამბაში ჩვეულებრივ გაიგზავნა, მაგრამ... საოლქო ქართულ გაზეთს მზის სინათლე აღარ უხილავს.

მიზეზი?

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ი. ტეხოვმა ბიუროს წევრთა სახელით ჩვენთან საუბარში განაცხადა, სანამ ოსეთის ავტონომიური ოლქი არსებობს, ქართულ გაზეთის სახელი არ შეეცვლებაო. მან ისიც აღნიშნა, რომ სარედაქციო კოლეგიას წინადადება მიეცა გაზეთი ისევ ძველი სახელწოდებით გამოსულიყო.

პრესის გაფიცული მუშაკები მხოლოდ დილით ცხადდებიან სამსახურში. რედაქტორის სამუშაო ოთახში შეკრებილნი კამათობენ, მსჯელობენ — რა ქნან? — გამოუშვან გაზეთი ძველი სახელწოდებით, თუ?.. ბოლოს ის აზრი იმარჯვებს, რომ დაელოდონ პოლიტიკური „კლიმატის“ გაჯანსაღებას და მათი სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თვე-ნახევარია შიდა ქართლი ყოველდღიური ქართული გაზეთის მონატრულია, რომლის გამოუსვლელობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ოლქში წლების მანძილზე დაშვებულმა შეცდომებმა განსაკუთრებით ახლა იჩინა თავი. კერძოდ, ოსურ ინტელიგენციას, მშრომელთა მასებს, მცდარი პროპაგანდის გამო ჩამოუყალიბდათ აზრი, თითქოს ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ისტორიული შიდა ქართლი, საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილი არ იყოს; რომ იგი ალანების — ოსთა წინაპარი ტომების მამაპაპური სამკვიდრო იყოს და ოსურ მიწა-წყალზე (!) ქართველთა პატივსაცემად (!) არსებულ გაზეთსაც ოსურის შესატყვისი უნდა ჰქონდესო.

ახლა ყველაზე საგანგაშო მაინც ის არის, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის თვითმარქვია მუშაკებისა და ყოფილი პარტიის საოლქო კომიტეტის, საოლქო საბჭოს აღმასკომის თანამშრომელთა პოზიცია არ არის ობიექტური — ისინი არ ცნობენ საქართველოს რესპუბლიკის კანონს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ და კვლავ სეპარატისტულ საქმიანობას განაგრძობენ. მათ გაზეთის სახელწოდების შეცვლა ოსური საზოგადოებრივი აზრის მსხვრევად მიაჩნიათ, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. საქართველო სუვერენული რესპუბლიკაა და ყველა ერის, ეროვნების თუ ეთნიკური ერთეულის თანასწორუფლებიანი ცხოვრება კარგა ხანია გარანტირებულია.

ცნობილია, რომ ე. წ. ოსეთის ავტონომიური ოლქი ბოლშევიკების მიერ ხელოვნურად შეკოწიწებულია და მას სამართლებრივი სტატუსი არ გააჩნია. ისტორიულ სინამდვილეში კი ამ რეგიონის აბორიგენულ მოსახლეობას ქართველები წარმოადგენენ. ავტონომიური ოლქის დაშლის შემდეგაც გაზეთი საქალაქო თუ რაისაბჭოს აღმასკომის ორგანო იქნება და მას „ჩვენი სამკვიდრო“ ერქმევა.

ყოველ დილით გაზეთის ჯიხურთან მდგარი მკითხველები გაოცებული კითხულობენ, რატომ არ იყიდება ქართული გაზეთი?

ვივი ბორცვაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორესპონდენტი.

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირში

გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნოს სხდომა, რომელმაც მხარი დაუჭირა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონს — „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით, სამდივნომ მოუწოდა ყოფილ ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე ჟურნალისტებს გააუქმონ თავისი საოლქო განყოფილება და შექმნან ჟურნალისტთა სამაჩაბლოს რეგიონალური ორგანიზაცია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის აღდგენასა და განმტკიცებას.

სამდივნომ მიიღო გადაწყვეტილება „სამაჩაბლოს“ აღორძინების ფონდში გადარიცხოს ხუთი ათასი მანეთი.

ცხინვალის ამბები

ცხინვალი. ამ დღეებში, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს. მაგრამ ეს — მხოლოდ გარეგნულად. შინაგანად კი ყველა დაძაბულია — ქართველიც და ოსიც. აქვე ვიტყვით, ეს დაძაბულობა და შეშფოთება არ არის ეროვნული დაპირისპირების უშუალო გამოხატულება. ქართველსაც და ოსსაც დღეს საერთო სატკივარი აწუხებს: ერთი მუჭა სეპარატისტ-კარიერისტების მიერ ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ერთმანეთის გვერდით საუკუნეთა მანძილზე მშვიდობიანად და მეგობრულად მცხოვრები ორი ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახება.

ხალხი იმედოვნებდა, რომ 15 დეკემბერს გაიმართებოდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია, რომელიც გააუქმებდა 9 დეკემბერს გამართული არჩევნების შედეგებს და მის შემდეგ მიღებულ არაკონსტიტუციურ გადაწყვეტილებებს. მაგრამ, სამწუხაროდ, სესია არ ყოფილა.

ამ გარემოებამაც კიდევ უფრო დაძაბა მდგომარეობა. ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს, სსრ კავშირის შინაგანი ჯარის ნაწილებს განსაკუთრებული ძალისხმევის გამოჩენა უხდებათ რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგისა და ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მდგომარეობა მართლაც საშიშია. ყველასათვის ცნობილია 12 დეკემბერს დღისით-მზისით ცხინვალის ცენტრში მომხდარი ტერორისტული აქტი, როცა ბოროტმოქმედებმა ავტომატით სიცოცხლეს გამოასალმეს სამი ქართველი ახალგაზრდა.

იმავე საღამოს, როცა მოსახლეობამ შეიტყო ამ ვერაგული მკვლელობის ამბავი, ქართული სოფლის თამარაშენის მცხოვრებლებმა მოაწყვეს პიკეტი, ასეთივე პიკეტი მოაწყო ცხინვალის ოსმა მოსახლეობამ. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო შეიარაღებული შეტაკება. მილიციის, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილის, მილიციის პოდპოლკოვნიკის ჯემალ ინჯიას საზრიანი, ენერგიული მოქმედების შედეგად პიკეტები იმავე ღამეს მოიხსნა. მდგომარეობა განიმუხტა.

შემდეგ კი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით ქალაქში შემოიღეს საგანგებო წესები და კომენდანტის საათი, რომელსაც საქართველოს მილიციის მუშაკებთან ერთად ახორციელებდნენ სსრ კავშირის შინაგანი ჯარის ნაწილები. როგორც ადრეც იყო აღნიშნული, რეგიონში შესასვლელ ყველა გზას კონტროლს უწევენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, რათა არ მოხდეს იქ იარაღის, ტყვია-წამლისა და სხვა აკრძალული ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა. თვით ცხინვალის შესასვლელებს კი შინაგანი ჯარის ნაწილები იცავენ საქართველოს მილიციის მუშაკებთან ერთად. ერთობლივი ძალებით ხდება პატრულირება.

როგორც კომენდანტის საათის დროს მოწყობილმა შემოწმებებმა ცხადყო, საფუძველს მოკლებული არ არის ხმები იმის თაობაზე, რომ ცალკეულ ჯგუფებსა და მოქალაქეებს აქვთ ცეცხლსასროლი იარაღი. მაგალითად, პატრულის მიერ დაკავებულ ქ. ცხინვალის მცხოვრებს, 1972 წელს დაბადებულ ალექსანდრე თიბილოვს აღმოაჩნდა „მარგოლინის“ ტიპის პისტოლეტი 60 საბრძოლო ვაზნით. სოფელ გუჯაბაურის მცხოვრებ ვ. სულაევს კი უპოვეს მცირეკალიბრიანი შაშხანის 50 ვაზნა, 4 მოქალაქეს ჩამოერთვა ცივი იარაღი.

მილიციის ორგანოები აგროვებენ საჭირო ოპერატიულ მასალებს შეიარაღებული ჯგუფებისა და იარაღის სამალავი ადგილების გამოსავლენად.

ინტენსიურად მუშაობს 12 დეკემბერს მომხდარი მკვლელობის საგამომძიებო-ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს მკვლელობათა განყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი ამირან კობახიძე ხელმძღვანელობს. იგი სამინისტროს მუშაკებთან ოლეგ გაზაშვილთან, ვახტანგ პანკვეტაძესთან, ხვთისავარ მჭედლიშვილთან და ნუგზარ გვილავასთან ერთად ცხინვალშია და გულმოდგინედ იკვლევს მომხდარ დანაშაულს.

იყო ხმები, თითქოს საქართველოს მილიციის მუშაკები ვერ შედიოდნენ ქ. ცხინვალში. ეს ხმები უსაფუძვლოა. ჩვენი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები (რა თქმა უნდა ამ სიტუაციისათვის საჭირო რაოდენობით) ცხინვალში არიან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: სეპარატისტულმა ძალებმა ოს მოსახლეობაში ხმები ხაყარეს, თითქოს ქართული მილიციის შემოსვლა საფრთხეს შეუქმნიდა მათ. ამ მონაჭორმა, საბედნიეროდ, თავის ავ მიზანს ვერ მიაღწია.

— ჩემთვის ძვირფასი და ახლობელია ოსიცა და ქართველიც. ტყვიას ვერ ვესვრი ვერც ოსსა და ვერც ქართველს. მაგრამ არაფერს დავიშურებ იმათ გამოსავლენად, ვინც წყალს ამღვრევს, ვისაც ქართველებისა და ოსების დაპირისპირებით თავისი ავანტიურისტული, კარიერისტული მიზნების მიღწევა აქვს განზრახული, — გვითხრა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსმა თემურ ვიოევმა.

და კიდევ ერთი რამ. საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები და სსრ კავშირის შინაგანი ჯარის კონტინგენტი ამჟამად ფლობენ სიტუაციას და კონტროლს უწევენ რეგიონში შექმნილ მდგომარეობას. ამიტომ სრულიად უსაფუძვლო და უნიადაგოა ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თხოვნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისადმი, რომ აქ დამატებით კიდევ გამოიგზავნოს შინაგანი ჯარის ნაწილები და მთელ რეგიონში გამოცხადდეს საგანგებო წესები და კომენდანტის საათი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი, საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.

კინო

ქართული კინოსკოლა „სილექტის“ წევრია

როგორც ცნობილია, ქართულმა კინოსკოლამ ანუ საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტმა ჩვენი რესპუბლიკიდან პირველმა მოიპოვა საერთაშორისო ასოციაციის წევრის ოფიციალური სტატუსი. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო 1988 წელს კინო-ტელეინსტიტუტების საერთაშორისო ასოციაცია „სილექტის“ XXIV მსოფლიო კონგრესმა, რომელიც ლოს-ანჯელესში გაიმართა. ახლახან საფრანგეთის პატარა ქალაქ ბლუაში მოეწყო „სილექტის“ მორიგი XXV მსოფლიო კონგრესი, რომელშიც მონაწილეობდა თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის დეკანი გიორგი დოლიძე.

ეს კონგრესი იმითაც არის საინტერესო, რომ „სილექტის“ გენერალურ ასამბლეაზე პირველად იყო წარმოდგენილი ქართული კინოსკოლა, როგორც ასოცირებული წევრი, ანუ, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, წევრ-კორესპონდენტი. სულ „სილექტში“, რომელიც „იუნესკოს“ ეგიდით მოქმედებს, XXV კონგრესამდე გაერთიანებული იყო 36 ქვეყნის 45 ნამდვილი და 19 ასოცირებული წევრი.

ჩვენი გადაყვანა ნამდვილ წევრად არც იყო ნავარაუდევი. ვერ იქნა და ვერ შევძელით პირველივე წლიური გადასახადის (1215 შვეიცარიული ფრანკი, რაც დაახლოებით 800 დოლარია) შეტანა. „სილექტის“ გენერალური მდივნის მოხსენებით ბარათში, რომელიც წაიკითხეს საჯაროდ, სულ დასახელებული იყო 16 კინოსკოლა (6 ნამდვილი და 10 ასოცირებული წევრი), რომელთაც ჩვენსავით ჰქონდათ დავალიანება. დამეთანხმებით, ვერაფერი სიამოვნებაა ასე საქვეყნოდ რომ გამოგაჭენებენ ფულის გადაუხდელობის გამო. ამიტომაც პირველსავე შესვენებაზე ასოციაციის პრეზიდენტს ბატონ კოლინ იანგს ვაჩვენე ის ჩემი ღია წერილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი, რომელიც სწორედ კონგრესზე წასვლის წინ დაიბეჭდა „თბილისში“ (24. X. 1990) და დავარწმუნე იგი, რომ სტატიის გამოქვეყნებისთანავე მინისტრმა ჩემი თანდასწრებით გადაწყვიტა-მეთქი ეს საკითხი.

აქ მკითხველს უნდა შევახსენო, რა საოცრად თბილი, იმ გარემოსათვის სრულიად უჩვეულო მეგობრული დამოკიდებულება აქვს „სილექტის“ პრეზიდენტს კოლინ იანგს საქართველოსთან, ქართულ კინოსკოლასთან.

ბატონმა კოლინ იანგმა თავისი პატივისცემა და რაინდული დამოკიდებულება ჩვენს მიმართ ჯერ კიდევ წინა მსოფლიო კონგრესზე დაამტკიცა, როცა საბჭოთა ბიუროკრატული აპარატის წყალობით ვერ იქნა და ვერ გავაღწიეთ ამერიკაში (თუმცა ბილეთი აღებული გვქონდა) და ვერც სათანადო საბუთები მივაწოდეთ, თუნდაც, რომ იტყვიან ფარატინა ქაღალდი უბრალო განცხადებისა, მაგრამ მან მაინც შეუძლებელი შეძლო და ქართული კინოსკოლა, ჩვენივე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, გამონაკლისის სახით მაინც აირჩია „სილექტის“ ასოცირებულ წევრად.

ახლა კი, კაცურად ენდო ჩემს სიტყვას და მიუხედავად იმისა, რომ არც წინასწარი აუცილებელი საფეხურები გაგვივლია (კონგრესამდე 60 დღით ადრე ბიურომ უნდა განიხილოს ეს საკითხი და მერე დააყენოს გენერალური ასამბლეის წინაშე), იმ სამ ქვეყანასთან ერთად (მექსიკა, კუბა, ჰონკონგი), რომელთა საბუთები უკვე გამზადებული იყო ოფიციალურად, ქართული კინოსკოლაც აირჩია ნამდვილ წევრად.

ერთი დეტალიც: წლეულს ივნისში ბერლინში გამართულ „სილექტის“ ბიუროს სხდომაზე ბ-ნ ქ. იანგს ჩვენი ეროვნული დროშის სამფეროვანი სამკერდე ნიშანი ვაჩუქე და რაოდენ გამეხარდა, როცა ოთხი თვის შემდეგ, მის მკერდს ისევ ამშვენებდა იგი. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეს კოპწია სამკერდე ნიშანი ძალიან ბევრის ყურადღებას იპყრობს, მხედველობაში მყავს არა მხოლოდ ჩემი უცხოელი კოლეგები, არამედ სხვებიც.

ნამდვილ წევრად არჩევით საწევრო გადასახადი კი მოგვემატა (50%), მაგრამ ჩვენი უფლება-მოვალეობანიც გაიზარდა, უკვე სრულუფლებიანი წევრი ვართ იმ საერთაშორისო ასოციაციისა, რომელიც ერთობ კეთილშობილურ მოღვაწეობას ეწევა. რაკი ხელს უწყობს მომავალი კინემატოგრაფისტების აღზრდას.

იქვე მომიწია ხელი მომეწერა პირველ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე. ეს ფაქტორი ერთობ უჩვეულო იყო ჩემთვის, საბჭოთა რეჟიმის პირობებში აღზრდილი კაცისათვის, მაგრამ როგორც კი მცირე ხნის საუბრის შემდეგ ბელგიის კინოსკოლამ შემომთავაზა, ხელშეკრულება დავდოთო, უმალ გადავწყვიტე ეს საკითხი, აღარ გავიმეორე ის შეცდომა, რომელიც ხუთი წლის წინათ მომივიდა, როცა მოსკოვში ინგლისელებმა შემომთავაზეს ორი ჩვენი სტუდენტური ფილმის გაყიდვა, მე კი გახარებულმაც და დაბნეულმაც თბილისში დავიწყე რეკვა...

ახლა უკვე სხვა დროა, დასავლეთი იოლად გვთანხმდება კონტაქტებზე, მხოლოდ ერთი რამ აფრთხობთ — ჩვენი არასტაბილურობა. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და, არასტაბილურობა ჩვენ უფრო გვაწუხებს და გვაშინებს. ამიტომაც ჩვენი, ყოველი ჩვენთაგანის ვალია სწორედ ამ არასტაბილურობის წინააღმდეგ ვიბრძოლოთ, არადა, მისი გამოვლინების ფორმა ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

თემატური სისრულისათვის აქვე უნდა მოგახსენოთ, მიუნხენის საერთაშორისო სტუდენტურ კინოფესტივალზე, რომელიც ყოველწლიურად 3-10 ნოემბერს იმართება ხოლმე, ზემოაღნიშნულ კონგრესამდე სწორედ მიუნხენის ფესტივალში ვმონაწილეობდით. ჩემთან ერთად იყვნენ: პედაგოგი ო. თაბუკაშვილი და სტუდენტები: დათო ჩიხლაძე და გიორგი მგელაძე. უნდა მოგახსენოთ, რომ მარტო წელს ჩვენი ფაკულტეტის 7 სტუდენტი გაემგზავრა საზღვარგარეთ საერთაშორისო კინოფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად. ამჯერად კანდიდატურების შერჩევა მოხდა იმ ფილმის მიხედვით, რომელიც წარვადგინეთ ფესტივალზე. ეს იყო ჩვენი კურსდამთავრებულის გიორგი რევიშვილის მშვენიერი ფილმი „კვირადღე“, რომლის ოპერატორია დ. ჩიხლაძე, გ. მგელაძე კი ამ ფილმში მთავარ როლს ასრულებს და ასრულებს შესანიშნავად, როგორც ეს აღიარეს ერთხმად და ცხადია, სათანადო პრიზიც ჩვენი იქნებოდა, მაგრამ აქ არ თამაშდება პრიზი საუკეთესო აქტიორული ოსტატობისათვის.

რაკი პრიზებზე ჩამოვარდა საუბარი, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ქართულმა კინოსკოლამ დააწესა პრიზი საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისათვის, რაც, დამეთანხმებით, უნიკალური მოვლენა გახლავთ — ჯერ არასდროს, არც ერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე არ ყოფილა დაწესებული ქართული პრიზი და აი, ეს უჩვეულო პრიზი, რომლის სახელწოდებაა „ერთი კვირა საქართველოში“, და რომელიც გულისხმობდა მთელი გადამღები ჯგუფის ერთკვირიან მოწვევას საქართველოში. ჟიურის გადაწყვეტილებით წილად ხვდა უნგრულ ფილმს „სიკვდილის განაჩენი“. ასე რომ, გაზაფხულზე ამ ფილმის გადამღები ჯგუფი გვეწვევა და ჩვენი დახმარებით, ალბათ, ერთ მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს აქაც გადაიღებენ.

ამ ყოველივეს შემდეგ, ვიმედოვნებ, ქართული კინოსკოლა ახლა უფრო მეტი ენთუზიაზმითა და შემართებით შეუდგება თავის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას.

საზღვარგარეთ

სპარსეთის ყურეში

ბაღდადი. გაიმართა ერაყის ევაკუაციისა და სამოქალაქო თავდაცვის უმაღლესი საბჭოს სხდომა. ინას სააგენტოს ცნობით, სხდომის მონაწილეებმა განიხილეს „საგანგებო სიტუაციაში მოქმედების გეგმები და სხვადასხვა სამინისტროსა და სახელმწიფო დაწესებულების მზადყოფნა იმ მუქარის პირობებში, რომელსაც ერაყი განიცდის“.

დასავლური წყაროების მოწმეობით გაზეთი „ალ-აჰრამი“ იუწყება, რომ ერაყის ხელისუფალნი შეეცადნენ ქუვეითში ნაძარცვი საიუველირო ნაწარმის, ანტიკვარიატისა და ხელოვნების ნიმუშების გაყიდვას საერთაშორისო აუქციონების ქსელის მეშვეობით.

იორდანიის მეფე ჰუსეინი გამოვიდა გაფრთხილებით სპარსეთის ყურეში საომარი მოქმედების წინააღმდეგ. საფრანგეთის ტელეკომპანია „ანტენ“-2-სთვის მიცემულ ინტერვიუში მან ხაზი გაუსვა, რომ ომი არაბებისთვისაც და მთელი მსოფლიოსთვისაც ტრაგედიად იქცევა. საბრძოლო მოქმედება უდიდეს ზიანს მიაყენებს არა მარტო არაბულ სამყაროს, არამედ ყველა მუსულმანს, სხვა სახელმწიფოებს, შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური შოკი და ეკოლოგიური კატასტროფაც. „თუ ომი ატყდა, — განაცხადა ჰუსეინმა, — ყველანი უფსკრულის პირას აღმოვჩნდებით და ვერავინ იტყვის, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან დაცემა“.

„ჩვენ არ გვსურს არაბების სისხლის დაღვრა და ომს არ ვესწრაფვით, მაგრამ თუ ს. ჰუსეინი არ გამოიყვანს ჯარებს ქუვეითიდან, მრავალეროვანი ძალები ჭკუას ასწავლიან და ეს მას სამუდამოდ დაამახსოვრდება“, — განაცხადა საუდის არაბეთში არაბულ-ისლამური ძალების სარდალმა გენერალმა ჰალედ ბენ სულთან იბნ აბდელ აზიზმა.

სადამ ჰუსეინის უარი იმაზე, რომ მიიღოს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ამერიკის მხარის მიერ შემოთავაზებულ ვადებში — ეს ერაყის პრეზიდენტის მორიგი შეცდომაა იმ სერიიდან, რომელშიც პირველი და ყველაზე დიდი იყო აგრესია ქუვეითის წინააღმდეგ, განაცხადა ამერიკის კონგრესის სენატში დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა ჯორჯ მიჩელმა. იგი ხელმძღვანელობს კაიროში მყოფ კონგრესის დელეგაციას, რომელიც რეგიონის ქვეყნებში მოგზაურობს. ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრთან აბდელ მაგიდთან შეხვედრის შემდეგ მიჩელმა ხაზი გაუსვა, რომ კრიზისის მოწესრიგების ერთადერთი მისაღები გზაა ქუვეითიდან ერაყის ჯარების გამოყვანა და იქ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა.

სპარსეთის ყურეში ამერიკული ჯარების სარდალმა გენერალმა ნორმან შვარცკოფმა განაცხადა, რომ ომი ერაყთან ექვს თვეს შეიძლება გაჭიანურდეს. ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას მან გამოთქვა აზრი, რომ ერაყის ჯარები ჯეროვნად არიან მომზადებული ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლისათვის. შვარცკოფმა მოიშველია ვიეტნამში და გრენადაზე თავისი საბრძოლო გამოცდილება და მიუთითა, რომ ერაყის მასირებული დაბომბვა ვერ აიძულებს მას ქუვეითიდან წასვლას.

კვირას ღამით დაიწყო ალჟირის პრეზიდენტის შ. ბენჯედიდის მოლაპარაკება ეგვიპტის პრეზიდენტ ჰ. მუბარაქთან. მენის სააგენტოს ცნობით, მხარეები განიხილავენ სიტუაციის განვითარებას სპარსეთის ყურეში იმ კონსულტაციების შესაბამისად, რომლებიც ალჟირის პრეზიდენტს იორდანიაში, ირანში, ომანში, სირიასა და ლიბანში ჰქონდა“.

ნატოს საბჭოს სესია

ბრიუსელი. გუშინ აქ გაიხსნა ნატოს საბჭოს სესია საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. იგი დაასრულებს ჩრდილოატლანტიკური კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების სხდომების სერიას, რომლებსაც წელიწადში ორჯერ იწვევენ.

ახლანდელ სესიაზე წინა პლანზე წამოიწევს საკითხები, რომლებიც ნატოს როლის შეცვლასთან არის დაკავშირებული. როგორც კავშირის ხელმძღვანელების ბოლო შეხვედრებმა ცხადყო, ისინი მხარს უჭერენ მისი პოლიტიკური როლის გაძლიერებას, მაგრამ უახლოეს მომავალში მაინც ვერ ხედავენ ნატოს ალტერნატივას უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

მოსალოდნელია, რომ დღის წესრიგის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი იქნება საბჭოთა კავშირში და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე ცვლილებებისა და კონტინენტის მდგომარეობაზე მათი ზეგავლენის ღრმა ანალიზი. მინისტრები ასევე განიხილავენ ნატოს სტრატეგიის გადასინჯვისათვის მომზადების მსვლელობას — აქამდე ეს სტრატეგია ეფუძნება 50-იან წლებში მიღებულ „მოწინავე ზღუდეებზე თავდაცვისა“ და „მოქნილი რეაგირების“ კონცეფციებს, რომლებიც ბირთვული იარაღის გამოყენებას ითვალისწინებს. ახალი სტრატეგიული დოქტრინის პროექტის შემუშავება გაისად ზაფხულში უნდა დასრულდეს..

მიმომხილველთა ინტერესს ასევე იწვევს ნატოს შიგნით ურთიერთობის პრობლემა, რაც ევროპული გაერთიანების საფუძველზე პოლიტიკური კავშირის შექმნის გეგმებს უკავშირდება. ამგვარი ნაბიჯის ერთ-ერთი შედეგი შეიძლება იყოს დასავლეთ ევროპის ქვეყნების დამოუკიდებლობის ზრდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის დარგში.

დიდი ყურადღება დაეთმობა სპარსეთის ყურეში შექმნილი მდგომარეობის განხილვას და კონფლიქტის მოწესრიგების შესაძლო გზების განსაზღვრას. მიმომხილველები არ გამორიცხავენ, რომ ამ პრობლემამ გარკვეული წინააღმდეგობები შეიძლება გამოიწვიოს, ვინაიდან აქამდე მხოლოდ დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა მიიღეს აქტიური მონაწილეობა ერაყის საზღვართან ჯარების დაჯგუფებათა შექმნაში.

კალეიდოსკოპი

რომი. პარლამენტარებიც ადამიანები არიან, და, როგორც ყველა მოკვდავი, ისინიც ყოველთვის ვერ ახერხებენ ემოციების შეკავებას. ეს დაადასტურა ამ დღეებში იტალიის პარლამენტში მომხდარმა შემთხვევამ, როცა ერთ-ერთმა დეპუტატმა სილა გააწნა მინისტრს.

ჯოვანი კობელისი, რომელიც ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენს, ძალზე გაბრაზდა სამეცნიერო კვლევისა და უნივერსიტეტების პრობლემების მინისტრზე სოციალისტ ანტონიო რუბერტიზე. მიზეზი გახდა მინისტრის გადაწყვეტილება ჯ. კობელისი ჩამოეშორებინა ნეაპოლის მახლობლად ქალაქ სალერნოში სამეანო სასწავლებლის ხელმძღვანელობისაგან, და მის ადგილზე დაენიშნა თანაპარტიელი ამხანაგი. როგორც ჩანს, განაწყენებულმა დეპუტატმა სცადა დაეყოლიებინა მინისტრი ისე, რომ არ გასცილებოდა „საპარლამენტო ფარგლებს“, მაგრამ ვერ მოახერხა. სწორედ მაშინ დაიბადა სამაგიეროს გადახდის იდეა. ჯ. კობელისი ორ საათს ელოდა ა. რუბერტის მონტეჩიტორიოს სასახლეში, სადაც სხდომას მართავს დეპუტატთა პალატა. მინისტრი რომ დაინახა, მიუახლოვდა და ისეთი სილა გააწნა, რომ მან ძლივს შეიკავა თავი ფეხზე. ახლო-მახლო მდგომი მოხამსახურეები მისცვივდნენ კონფლიქტის მონაწილეებს, მაგრამ ვერ გაერკვნენ სიტუაციაში და მინისტრი გააკავეს. ამით ისარგებლა ჯ. კობელისმა და კიდევ ერთხელ გააწნა სილა, თანაც ისე ძლიერად, რომ ა. რუბერტის სათვალე დარბაზის მოპირდაპირე კუთხეში მოისროლა.

დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის ლეოთინიდლე იოტის გადაწყვეტილებით პარლამენტარსა და მინისტრს შორის მომხდარი ინციდენტი საგულდაგულო გამოძიების საგანი უნდა გახდეს. კანონის თანახმად, ჯ. კობელისის მიმართ შეიძლება ადმინისტრაციული სანქციები გამოიყენონ.

პარიზი. საფრანგეთის მოსახლეობა ყოველწლიურად 300 ათასი კაცით იზრდება, მოწმობს დემოგრაფიული კვლევის ინსტიტუტის ყოველწლიური მიმოხილვის მონაცემები.

ათას კაცზე 13,6 შობადობისა და ათას კაცზე 9,4 სიკვდილიანობის დონის პირობებში, აღნიშნულია გამოკვლევაში, მოსახლეობის ყოველწლიური ბუნებრივი მატება შედარებით ციფრებში შეადგენს ათასზე 4,2 და აბსოლუტურ ციფრებში — 237 ათას კაცს. მაგრამ რეალურად ყოველწლიური მატება აღწევს 5,1 ათას კაცს, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის მოსახლეობა დამატებით იზრდება დაახლოებით 50 ათასი კაცით იმიგრანტების ხარჯზე.

ქვეყანაში სიცოცხლის ხანგრძლივობა მამაკაცებში არის 72,5 წელი, ქალებში — 80,7 წელი. ქვეყნის მოსახლეობა კვლავ მატულობს. 19 წლამდე ასაკის ბავშვები და ყმაწვილები მცხოვრებთა საერთო რიცხვის 27,7 პროცენტს შეადგენენ, 20-დან 59 წლამდე ადამიანები — 53,2 პროცენტს და 60 წელზე მეტი ხნისა — 19,1 პროცენტს.

სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი კვლავ არის კიბოს დაავადებები (ყოველწლიურად 138,5 ათასი სიკვდილის შემთხვევა), გულის დაავადებები (111,6 ათასი), ტვინისა და სისხლძარღვთა დაავადებები, საფრანგეთში, აღნიშნულია გამოკვლევაში, ბავშვთა სიკვდილიანობის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია — ათასზე 7,5, რომლის მიხედვითაც იგი მსოფლიოში იყოფს მე-5-მე-6 ადგილს.

სსრ კავშირის სამხედრო ხარჯები

ბრიუსელი. აქ გამოქვეყნებულ ნატოს დირექტორატის წლიურ მოხსენებაში ეკონომიკურ საკითხებზე ლაპარაკია ბოლო ხუთი წლის მანძილზე სსრ კავშირის სამხედრო ხარჯების დარგში მომხდარ სრულ გარდაქმნაზე.

დოკუმენტის ავტორები აღნიშნავენ სსრ კავშირის რეალური ხარჯების შემცირებას თავდაცვის დარგში 1989 წელს 4 პროცენტით და მიაჩნიათ, რომ მიმდინარე წელს ეს მაჩვენებელი ასეთივე იქნება. ჩრდილოატლანტიკური კავშირის ექსპერტები ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირის საბიუჯეტო ხარჯები სამხედრო დარგში მნიშვნელოვნად შეიზღუდება მომდევნო პერიოდშიც შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მთელ რიგ საერთაშორისო შეთანხმებების დადებასთან დაკავშირებით.

ამასთანავე აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის მიზანი — შეამციროს 1995 წლისათვის თავდაცვის ხარჯები მესამედით — დამოკიდებული იქნება არა მარტო სამხედრო და სტრატეგიული შეიარაღების დარგში დადებულ ხელშეკრულებებზე, არამედ აგრეთვე სამხედრო მრეწველობის კონვერსიის წარმატებულ რეალიზაციაზეც.

ამავე დროს დოკუმენტის ავტორები ამტკიცებენ, რომ თავდაცვისათვის სსრ კავშირის ხარჯების დონე ახლა შეადგენს მთლიანი ეროვნული პროდუქტის 15-დან 17-მდე პროცენტს, ესე იგი, მათი ცნობებით, 135-დან 160-მილიარდამდე მანეთს. იმას, რომ ეს მონაცემები არ ემთხვევა სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში მოყვანილ ციფრს — 77,3 მილიარდ მანეთს, — ნატოს ექსპერტები ხსნიან სამხედრო საჭიროებებისათვის ხარჯების გამოანგარიშებისადმი ორივე მხრიდან განსხვავებული მიდგომით, აგრეთვე სსრ კავშირში მიღებული თავდაცვითი მრეწველობის პროდუქციის ფასების განსაზღვრის სისტემით.

პოლიციის სკოლა

ესტონეთის რესპუბლიკა. წლეულს მსმენელებს კარი გაუღო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პაიკუზეს პოლიციის სკოლამ. 105 ჭაბუკი, რომლებმაც კონკურსი გაიარეს, ნახევარი წლის შემდეგ პოლიციელი გუშაგის ან კონსტებლის თანაშემწის პროფესიას მიიღებს. სასწავლო პროგრამის შედგენისას ბევრი რამ იყო გათვალისწინებული, მაგრამ მთავარი მისწრაფებაა: მომავალი პოლიციელები კაბინეტში სამუშაოდ კი არა, ადამიანებთან ურთიერთობისთვის მოამზადონ. ეს პირველი ასეთი სასწავლო დაწესებულებაა ესტონეთში.

სურათზე: სასროლი მომზადება.

საკდესის ფოტოქრონიკა.

სამოკავშირეო ხელშეკრულების წინააღმდეგ

კიშინიოვი. მოლდოვა, ისევე როგორც ნებისმიერი ცივილიზებული სახელმწიფო, არ დადებს ხელშეკრულებას იმათთან, ვინც სასაცილოდ მოითხოვს თავისუფლების და მისი არსებობის უფლების გაყიდვას. სამოკავშირეო ხელშეკრულების გამოქვეყნებული პროექტის განხილვაც კი არ შეიძლება! 16 დეკემბერს ეს განაცხადა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მირჩა დრუკმა დიდი ეროვნული კრების დროს, რომელიც მოლდოვას სახალხო ფრონტის ინიციატივით გაიმართა. იგი მიეძღვნა სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის განხილვას და რადიოთი და ტელევიზიით გადაიცემოდა. მისი გახსნის წინ კი, რაც სახალხო ფრონტის ღონისძიების ტრადიციად იქცა, ჟღერდა სიმღერა „გაიღვიძე, რუმინელო“.

რა არ ითქვა ორატორთა გამოსვლებში, რომლებიც, ამ ღონისძიების ორგანიზატორთა თქმით, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოვიდნენ. დიდი ეროვნული კრების მონაწილეებს თავზე ჩანდა ტრანსპარანტები: „მოსკოვ, მოაშორე თათები მოლდოვას!“, „საბჭოთა იმპერიის კრახი გარდაუვალი და ისტორიულად კანონზომიერია!“, „ხელშეკრულებები — მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოებს შორის!“, „ძირს საბჭოთა იმპერია“, „გაუმარჯოს დიდ რუმინეთს!“, „არ გვსურს სამოკავშირეო ხელშეკრულება!“, „ძირს კომუნისტები!“, „საბჭოთა არმია გავიდეს მოლდოვას ტერიტორიიდან!“.

დიდ ეროვნულ კრებაში მონაწილეობდნენ რუმინეთის, უკრაინის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის და საქართველოს წარმომადგენლები.

შეტევაზეა ოპოზიცია

ბუქარესტი. „მთავრობის გადადგომამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა“. ნუთუ პრეზიდენტი ილიესკუ დაუთმობს ოპოზიციას და დათანხმდება „დამოუკიდებელი“ პრემიერის დანიშვნას?“ — ასეთი წინააღმდეგობრივი მსჯელობებით ცხოვრობს დღეს რუმინეთი.

ეროვნული ხსნის ფრონტის მომხრეები, რომლებიც უკვე მიეჩვივნენ „რომანის ტექნოკრატების“ ახალგაზრდა და დინამიკურ გუნდს და წლეულს 20 მაისს ამ პოლიტიკური დაჯგუფების წარმომადგენლებს მისცეს ხმა, შეშფოთებით ადევნებენ თვალყურს მოვლენათა სწრაფ განვითარებას. ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ ოპოზიცია მოწონებით აფასებდა რეფორმების მთავრობისეულ პროგრამას, მაგრამ ნოემბრის შუა რიცხვებიდან ერთხმად მოითხოვს პ. რომანის მინისტრთა კაბინეტის „დაუყოვნებლივ გადადგომას“.

ქვეყანას გაფიცვათა ტალღამ გადაუარა, რომლის დროსაც ასობით სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმომ, მომსახურების სფეროს და სამედიცინო დაწესებულებებმა შეწყვიტეს მუშაობა, რასაც თან სდევდა ფასების ლიბერალიზაციის გამო სოციალური დაძაბულობის ზრდა. ყველაფერმა ამან საბაბი მისცა ოპოზიციას პრეზიდენტ ი. ილიესკუსთვის ულტიმატუმი წაეყენებინა: მთავრობის გადადგომა, ან „მოვლენათა უკონტროლო ესკალაცია“.

„ჩვენ ცალკეული შეცდომები დავუშვით, მაგრამ მთავრობა არ გრძნობს თავს დამნაშავედ ხალხის წინაშე“, — განაცხადა გასულ კვირას პ. რომანმა. იგი თანახმაა, რომ აუცილებელია მთავრობის აპარატში გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები, კაბინეტის რამდენიმე წევრის შეცვლა, მაგრამ ამავე დროს პრემიერმა აღნიშნა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს მთავრობას.

ფოტოინფორმაცია



ტოკიო. იაპონიის იმპერატორი აკიჰიტო ოფიციალურად ავიდა ტახტზე, რომელიც იაპონიაში მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას უფრო დიდი ხნის მანძილზე, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში. ახლანდელმა მონარქმა მემკვიდრეობით მიიღო „ქრიზანთემის ტახტი“ მამისგან, იმპერატორ ხიროჰიტოსგან ([illegible]); რომელიც 1989 წლის იანვარში გარდაიცვალა 60 წელზე მეტი ხნის მმართველობის შემდეგ.

ახლანდელი ცერემონია, მრავალი თვალსაზრისით, მართლაც რომ უპრეცედენტო იყო. იაპონიის მონარქი პირველად ავიდა ტახტზე ომისშემდგომი კონსტიტუციის შესაბამისად, რომელმაც შეცვალა იმპერატორის სტატუსი. აქამდე მას თაყვანს სცემდნენ, როგორც „ცოცხალ ღმერთს“ და სინტოისტური ქალღმერთის ამატერასუს პირდაპირ შთამომავალს. კონსტიტუციამ იგი „სახელმწიფოსა და ხალხის ერთიანობის სიმბოლოდ“ აქცია.

პირველად ისტორიაში ტახტზე ასვლის ცერემონია, რომელსაც „სოკუი-ნო რეი“ ეწოდა, ტოკიოში გაიმართა. ყველა წინა ცერემონია იაპონიის ძველ დედაქალაქ კიოტოში იმართებოდა, საიდანაც ჯერ კიდევ მაისში გაძლიერებული დაცვით ვერტმფრენებით გადმოიტანეს ორი ტახტი — იმპერატორისა და დედოფლისათვის.

ტრადიციების შესაბამისად, საცერემონიო სამოსში გამოწყობილმა 56 წლის იმპერატორმა აკიჰიტომ და მისმა მეუღლემ მიჩიკომ მონაწილეობა მიიღეს ძველ სინტოისტურ წეს-ჩვეულებებში. ტახტზე ასვლის მთავარი ცერემონიის დროს იმპერატორმა მოკლე სიტყვა წარმოთქვა. მან ივალდებულა თავისი ფუნქციების კონსტიტუციის შესაბამისად შესრულება და იმედი გამოთქვა, რომ იაპონია „ხალხის სიბრძნისა და დაუშრომელი ძალისხმევის წყალობით მიაღწევს შემდგომ განვითარებას და წვლილს შეიტანს მშვიდობის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო გაერთიანების, მეგობრობის, კაცობრიობის კეთილდღეობისა და აყვავების საქმეში“.

„სოკუი-ნო რეიში“ მონაწილეობდა 2.500-მდე საგანგებოდ მოწვეული სტუმარი, მათ შორის 158 ქვეყნის, საერთაშორისო ორგანიზაციების 500-მდე მაღალი წარმომადგენელი.

სურათზე: იმპერატორი აკიჰიტო.

რეიტერ-საკდესის ტელეფოტო.

საზოგადოება

ცოტა რამ ეკუმენიზმზე

„ეკლესია სახე არს სამოთხისა"

სულხან-საბა

რა არის ეკუმენიზმი? მართლმადიდებელი ეკლესიის განხეთქილების ეს ვაშლი? ეკუმენიზმი უცხოური სიტყვაა და „მსოფლიოს" ნიშნავს, მისი ძირია ოიკუმენა. მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსს ეწოდება ეკუმენური პატრიარქი.

მოგეხსენებათ, ქრისტიანობა მსოფლიო რელიგიაა, ე. ი. ეკუმენური. მაგრამ მისი ეკუმენურობა არ ნიშნავს მის კოსმოპოლიტურობას — ცუდი გაგებით (თუკი კოსმოპოლიტიზმს კარგი გაგებაც გააჩნია); დიდი სჯულის კანონის თანახმად, ქრისტეს ეკლესია ერთიანია, მსოფლიოა, ესაა ქრისტეს ერთიანი სხეული, ხოლო ადგილობრივი ეკლესიები მოიაზრებიან, როგორც ქრისტეს სხეულის სხვადასხვა ნაწილები. „არ არს ურიაებაი, არცა წარმართებაი..." ეროვნებათა ნიველირებას კი არ ნიშნავს, არამედ იმას, რომ გაქრისტიანება ყველას შეუძლია, იუდეველსაც, წარმართსაც, ელინსაც და ა. შ. ისინი ამით კი არ კარგავენ თავიანთ ეროვნებას, არამედ ახალ საფეხურებზე აჰყავთ იგი; ხოლო მთლიანი ქრისტიანული სამყარო მოიაზრება როგორც ახალი ღვთის რჩეული ერი, ანუ ახალი ისრაელი.

სხვათაშორის, როგორც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიცაა შენიშნული, ოიკუმენას ცნებას ზუსტად გამოხატავს „აბოს წამების" ერთი ადგილი: „რომელნი ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა". აქ „ქვეყანა" ოიკუმენის, საქრისტიანოს გაგებითაა ნახმარი. ბუნებრივია, ვინაიდან საქართველო ქრისტიანული ცენტრებიდან უკიდურესად დაშორებულ ქვეყანას წარმოადგენდა, იოვანემ მოიაზრა იგი, როგორც ყურე მსოფლიოსი.

აი როგორი განლაგება ჰქონდათ ქრისტეს სხეულის ნაწილებს — ადგილობრივ ეკლესიებს — 1054 წლამდე: რომის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის... იბერიამ თავისი კანონიერი მეექვსე ადგილი (ამჟამინდელი — მეხუთე) დაკარგა და იგი რუსეთმა შეიძინა გვიანშუასაუკუნეებში დიდის მართლმადიდებლური რუდუნებითა და... დიდძალი ნატურალური ოქროთი.

1054 წელს მოხდა ქრისტეს სხეულის ორად გახლეჩვა. მოკლედ, ამაში პოლიტიკამ უდიდესი როლი ითამაშა. რომმა და კონსტანტინეპოლმა რაღაც ვერ გაიყვეს ერთმანეთში და ბუნებრივია, ჩვენ აქეთ, ბიზანტიისაკენ აღმოვჩნდით, აღმოსავლეთის საქრისტიანოში. როგორც ცნობილია, „ბიზანტია" სამეცნიერო ტერმინია, ბიზანტიელები საკუთარ თავს ჰრომთ უწოდებდნენ. ე. ი. ერთი მხრივ აღმოჩნდა აღმოსავლეთრომაული ქრისტიანობა ანუ ორთოდოქსია. და მეორე მხრივ — დასავლეთრომაული ქრისტიანობა, ანუ კათოლიკობა. კათოლიკური მსოფლიოს ნიშნავს, ორთოდოქსული — მართლად მადიდებელს. ასე გაიყვეს ჭეშმარიტება რომმა და ფსევდორომმა ანუ ბიზანტიამ. მაგრამ ისინი ჭეშმარიტების მეორე ნახევარზეც არ ამბობენ უარს. უკიდურესად ორთოდოქს დოგმატიკოსს მართლმადიდებელი ეკლესია მიაჩნია მსოფლიო, ე. ი. კათოლიკურ ანუ, რაც იგივეა, ეკუმენურ ეკლესიად (შეად.: „ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია"), ხოლო დასავლეთის, ე. ი. კათოლიკურ-ლათინურ ეკლესიას მიიჩნევს არა ეკლესიად, არამედ ეკლესიიდან გამოყოფილ ერესად, ანუ წვალებად. ასევე ფიქრობს დასავლეთის კათოლიკე დოგმატიკოსი, მას თავისი რომაული საყდარი მიაჩნია არა მარტო კათოლიკურად, ე. ი. მსოფლიოდ და ეკუმენურად, არამედ მართლმადიდებლურადაც, ე. ი. ქრისტეს ერთადერთ ჭეშმარიტ ეკლესიად. რომის ეკლესიამ თავის მხრივ, ბოლო მოუღო ამ უთავბოლობას, ე. წ. ორთოდოქსული ეკლესია თავის დად აღიარა, კათოლიკურ ტაძრებში ზიარების ნება დართო მართლმადიდებელთ და ა. შ.

ვინაიდან ბიზანტია მართლმადიდებლობამ ვერ „გადაარჩინა" (ჩვენგან განსხვავებით) და რუსეთს დაეკისრა მართლმადიდებლობის „ბურჯობა", ე. ი. ფსევდორომის ფუნქციები, ბუნებრივია, იგი სულიერ ჰეგემონობას ვატიკანს ვერ დაანებებდა და შეძლებისდაგვარად ეცდებოდა სხვა ადგილობრივი ეკლესიებიც ან მიემხრო, ან შეეერთებინა. მან ეს ნაწილობრივ კიდეც შეძლო, ამან მოგვცა ჩვენ 1811 წელი. ამ უბერებელ პოლიტიკას ერესეფესერეს სინედრიონი დღესაც წარმატებით ახორციელებს. იერუსალიმის პატრიარქი დიოდოროს I, რომელიც, როგორც ჩანს, დიდად არ გამოირჩევა ღმერთშემოსილებით, მიიმხრო და დაუპირისპირა მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსს, რომელიც ვატიკანთან ნორმალური ურთიერთობის მომხრეა. ამ და სხვა მიზეზთა გამო მსოფლიო პატრიარქსა და რუსეთის ეკლესიის მმართველობას შორის დიდი განხეთქილებაა. დიმიტრიოსმა რუსეთის ნათლობის 1000 წლისთავზე დაუგზავნა წერილები მთელ მართლმადიდებლურ ოიკუმენას, რომელშიც იგი გამოთქვამდა თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას ერესეფესერეს ეკლესიისადმი და მოუწოდებდა პატრიარქებს, არ წასულიყვნენ მოსკოვს. ასე რომ, ძველი ეკლესიებიდან „ტისიაჩელეტიე"-ზე მხოლოდ იბერიისა და იერუსალიმის ეკლესიათა გამგებელნი აღმოჩნდნენ. მოგეხსენებათ, ჩვენთან პოლიტიკა ანათებდა ჯოჯოხეთს, იერუსალიმში კი, „ავი" ენები ამბობდნენ, ქრთამმა გაანათაო. „ავი" ენები იმასაც ამბობენ, მოსკოვი მეხუთე ადგილს აღარა სჯერდება და დიმიტრიოსის ტახტი ამოიღო თვალშიო. დღემდე კონსტანტინეპოლი მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება და თურქებისაგან შევიწროებულს უკვე ამ ათი წლის წინ, შვეიცარიაში ადგილი ჰქონდა შეძენილი და გადასაბარგებლად ემზადებოდა. ღვთის ნებითა და სხვადასხვა გარემოებების წყალობით, კონსტანტინეპოლმა კრიზისს თავი დააღწია და მისი ტახტის ხელში ჩაგდების იმედიც, ალბათ, მოსკოვს გადაეწურა.

პირველსავე სიტყვას რომ დავუბრუნდეთ, ქრისტეს სხეულს მესამე ძირითადი ნაწილი XVI ს-ში მოწყდა, როცა კათოლიკურმა ეკლესიამ თავის წიაღში ლუთერი შვა. ამგვარად, დღეს ძირითადი სამი ქრისტიანული კონფესია გვაქვს: კათოლიკური, მართლმადიდებლური და პროტესტანტული, თავისი უამრავი სახესხვაობებით. აქვე უნდა აღინიშნოს ე. წ. „მონოფიზიტური", ძველი ეკლესიები სირიის, სომეხთა, ეგვიპტის კოპტთა და სხვ. (იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი). სხვა დანარჩენ უთვალავ ქრისტიანულ სექტებს და მახინჯ სწავლებებს, როგორც წესი, ეკლესიებად არავინ მიიჩნევს.

ასეთია ქრისტიანული ოიკუმენისა და ენებათაღელვის მეტად ზოგადი და გარეგნული ხატი. რაღა თქმა უნდა, ფიქრი იმისა, რომ კვლავ გამთლიანდეს ქრისტეს სხეული და ყველა გაკათოლიკდეს, ან გაორთოდოქსდეს, უგნურების მწვერვალის დაპყრობა იქნებოდა. თუმცაღა ღვთისაგან ყველაფერი შესაძლებელია. ეკუმენისტთა ძირითადი ორგანოა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო — ემს-ი. ასე ვთქვათ, გაეროს სასულიერო ვარიანტი. ემს-ის მიზანია ელემენტარული ურთიერთობა მაინც იქნეს მიღწეული ქრისტიანულ კონფესიებს, სხვადასხვა ეკლესიებს შორის, აღმოიფხვრას მტრობა, უაზრო პოლემიკა, ერთმანეთის მრწამსს მიაგონ პატივი და ა. შ. **ეკუმენიზმი არ გულისხმობს ერთიანი, სინკრეტული რელიგიის შექმნას.** ამას მხოლოდ სულელი თუ დაიჯერებს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ყველა კონფესიის ინტერესები ირღვევა. ეკუმენისტურ დიალოგებში მონაწილეობას არ ღებულობს რომის კათოლიკური ეკლესია. მისი პოზიცია ამ საკითხში ასეთია: „რა საჭიროა დიალოგი, დედა ეკლესია მზადაა მიიღოს და ჩაიკრას გულში თავისი დაბნეული შვილები". ის კი აღარ ვიცი, ამ დაბნეულ შვილებში მხოლოდ ლუთერან-პროტესტანტებს გულისხმობს იგი, თუ მართლმადიდებლებსაც.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დამოკიდებულება ეკუმენიზმის მიმართ: ეკუმენიზმი ცუდია, თუ კარგი, არსებობს და იარსებებს. რაც შეეხება ჩვენი ეკლესიის არსებობას, ამისი არაფერი უწყოდნენ ამ ათიოდე წლის წინათ უფალმა ილია II დაიწყო შორსგამიზნული, მოდით, დავარქვათ თავისი სახელი, პოლიტიკა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ეკლესიის არსებობის „დე ფაქტოდ" აღიარებას და შეამზადა მისი „დე იურედ" აღიარება, ანუ ავტოკეფალიის მოპოვება. ჩვენი მწყემსმთავარი ოთხი წლის განმავლობაში ემს-ის პრეზიდენტად იყო არჩეული.

რა მოგვცა ეკუმენიზმმა? ეკლესიური მოხმარების წიგნები, კონდაკები და დავითნები, რომელნიც შვეიცარიაში დაიბეჭდა; გამოგვიგზავნეს ბიბლიის ახალქართული გამოცემისათვის საჭირო ქაღალდი, მივიღეთ უამრავი თანამედროვე სალვთისმეტყველო ლიტერატურა, როგორც ემიგრანტი ორთოდოქსებისაგან, ასევე კათოლიკეთაგან — ენციკლოპედიები და სხვა. გაიგზავნა ჩვენი სტუდენტები სასწავლებლად ევროპის რელიგიურ ცენტრებში და სხვა. საქართველოს ეკლესიის აქტიურ ეკუმენისტურ მოღვაწეობაზე არსებობს უამრავი ფოტომასალა, წერილები, ხელშეკრულებები და ა. შ. ეს მასალა შესწავლას, მეცნიერულად გამოკვლევას ელის. რა დავკარგეთ ეკუმენიზმისაგან — ამაზე იმან ისაუბროს, ვინც მისი მოწინააღმდეგეა. ერთი კი მეც ვიცი: რუსული ეკლესიის მოჩვენებითი კეთილგანწყობა — აი, რა დავკარგეთ.

რა მიზანს ისახავს ანტიეკუმენისტური ავდარი, რომელიც საქართველოს ცაზე გამეფდა? ეს არაა რელიგიის სფერო, არამედ დიდი პოლიტიკის ნაწილია. რას მოგვცემს აქტიური ანტიეკუმენიზმი? მისი საფუძველია კონფესიური შეზღუდულობა, უმეცრება, ფანატიზმი; კონფესიური ერთობა კი ვისთან გაგვაჩნია, თუ არა რუსეთთან? — აი, როგორ შეიძლება გარდაისახოს გარეეკლესიურ სტაროვერთა სამი ჭიპის თეორია შიდაეკლესიურ ნოვოვერთა ანტიეკუმენიზმად. კაცმა რომ თქვას, ეკლესიის გარეთ მობოგინე სტაროვერებსა და ეკლესიის შიგნით მოფოფინე ნოვოვერებს არაფერი ჰქონდათ ერთმანეთთან საკამათო და დასაპირისპირებელი. ესაა რუსული რელიგიური ხის ორი ტოტი. ასე რომ, მათ შორის გამართული პაექრობა ფაქტობრივად წარმოადგენდა მოკამათეთა ურთიერთგაცნობა-აღიარების, მათი ურთიერთშეყნოსვა-შელრენის „ლამაზ" რიტუალს, რომლის სცენარიც შესაძლებელია წინასწარ იყო დაწერილი; ისიც შესაძლებელია, ზოგმა „აქტიორმა" — მოშურნე ორთოდოქსმა — არც იცოდა, თუ რა როლში ჩასვეს.

შესაძლოა ანტიტოლერანტ-ანტიეკუმენისტებმა თავიანთ პროგრამა-მაქსიმუმს ვერ მიაღწიონ; ვერ გააფანატიკოსონ საქართველო, ვერ მოახდინონ მისი რელიგიურ-კულტურული იზოლაცია — პოლიტიკური იზოლაციის საფუძველდამდები, მაგრამ მათ უკვე მიაღწიეს თავიანთ პროგრამა-მინიმუმს: ჩვენი ეკლესია ერთ დიდ, სინათლისათვის კარდახშულ სექტად გადააქციეს, სადაც გამუდმებული ლანძღვაა პროტესტანტ-კათოლიკეთა, მაგრამ ნაკლებადაა მადლი, სიყვარული, ცოცხალი სარწმუნოება... ანტიეკუმენისტურ განწყობას სწორედ კოსმოპოლიტიზმი — ჩრდილოური ქარი ასაზრდოებს. ე. წ. მოშურნე ორთოდოქსებს სურთ ჩვენი ეკლესია ზაგორსკის სრულ მონამორჩილად გადააქციონ, რითაც ფაქტობრივად ეკლესიაში — ჩვენს სულში — შეიქმნება ყველაზე მძლავრი მეხუთე კოლონა, თუ იგი უკვე შექმნილიც არაა. ანტიეკუმენიზმი ცდილობს, დროს ფეხი აუწყოს და ტურასავით სქესი გამოიცვალოს, „ეროვნული" მანტია მოისხას, ეტყობა, მტერი დიდ იმედებს ამყარებს ჩვენს გულარხეინობაზე.

როგორც ჩანს, ჩვენი ეკლესია დიდ პოლიტიკურ არენადაა გადაქცეული და აქ კვლავ მყარად მბრძანებლობს ე. წ. ვოსტორგოვ-სუსლოვისეული „ეკლესიური" ინსტიტუტი, რომელსაც ალბათ რუსეთის რომელიმე მიტროპოლიტი განაგებს; მოქმედებს აგრეთვე „მეორე მდივნობის", ნამესტნიკობის ინსტიტუტიც, რომელსაც, მოსალოდნელია, ადგილობრივი ძენი ბნელისანი — ეკუმენისტ-ტოლერანტი კათოლიკოს-პატრიარქის მკრეხელი ოპოზიციონერები განაგებდნენ. სატანის ამ ქსელში ყველას თავისი ადგილი აქვს: ფანატიკოსებს, ურაპატრიოტებს, ლორმუცელებს, სემინარიელ ბრიყვებსა და თქვენ წარმოიდგინეთ, ბრმა სიკეთესაც კი. საბოლოოდ ეს ყოველივე ქართველი ერის სულიერი გზის გამრუდებას და ჩრდილოეთისადმი რელიგიურ-პოლიტიკურ დამონებას ემსახურება.

ვაი მგლებს, ცხვრის ქურქში გახვეულებს. ვაი მათ, რომელნი დასდებენ თეთრსა შავად და შავსა თეთრად. „არა არს დაფარული, რომელი არა განცხადნეს".

ვალერიან ქარქუსაშვილი

• • •

სურათზე: ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი, დოქტორი ფილიპ პოტერი, უწმიდესი ილია II და კანადის მთავარეპისკოპოსი ედვარდ სკოტი; ვიუცბურგის ტაძრის წინამძღვარი ცელესტინ პატოკი, ვენის უნივერსიტეტის პროფესორი, მამა ერნსტ ქრისტოფ სუტნერი, ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალაიძე), მხატვარი ალექსანდრე ბანძელაძე და ბერი ნიკოლოზი (ღლონტი).

სპორტი

მეთვალყურე თუ მოკავშირე?

გამოჩენილი დიდოსტატი, პრეტენდენტთა ასპარეზობების არაერთგზის მონაწილე ეფიმ გელერი კასპაროვ-კარპოვის მატჩს თავიდანვე ესწრება. რა მიზნით? თვით გელერი ამბობს, რომ ხელშეკრულება დადო ლონდონის გამომცემლობა „პერგამონთან" და როგორც კი მატჩი დამთავრდება, სულ რამდენიმე დღეში ვრცელი წიგნი უნდა გამოაქვეყნოს მის შესახებ ყველა პარტიის დაწვრილებით კომენტარით. ეს უთუოდ ასეც მოხდება, მაგრამ კარპოვის „შტაბის" ხელმძღვანელს, დიდოსტატ ნიკოლოზ კროგიუსს თუ დავუჯერებთ, გელერს ახლა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მისია აქვს. იგი აშკარად ეხმარება კასპაროვს.

ასეა თუ ისე, გელერის აზრი შეჯიბრების მსვლელობის შესახებ უდავო ინტერესს იწვევს, ამიტომაც გთავაზობთ ნაწყვეტებს მისი ვრცელი ინტერვიუდან.

— როგორ აფასებთ მეტოქეთა ჭადრაკულ ძალებს? მათი სეკუნდანტების „განლაგებას"?

— მე ვიცნობ ორივე მეტოქის „შტაბების" შემადგენლობას. იმასაც ვიტყოდი, რომ ყოველ ახალ მატჩთან ერთად გუნდების ძალთა შეფარდება კასპაროვის სასარგებლოდ იცვლება. ამ მხრივ პირველ მატჩში უპირატესობა კარპოვს ჰქონდა, შემდეგ კი თანდათანობით კარპოვის გუნდის ძალა მცირდებოდა, კასპაროვის გუნდისა კი, პირიქით, იზრდებოდა. ახლა ამ მხრივ კარპოვის ერთადერთი მიღწევა ის გახლავთ, რომ მან მიიწვია ისეთი მოჭადრაკე, როგორიც არის პორტიში — პირველხარისხოვანი მოთამაშე, თეორეტიკოსი, და ამასთან ერთად, უბრალოდ რომ ვთქვათ, კარგი, თავშეკავებული, საიმედო ადამიანი.

კასპაროვის ბანაკიდან გაქრა ნიკიტინი, მისი მთავარი მწვრთნელი. ამის მიზეზი ჩემთვის ცნობილი არ არის. მისი თანაშემწეების ძირითადი სამეული ახლა ასე გამოიყურება: დიდოსტატები აზმაიფარაშვილი, დოლმატოვი, გურევიჩი. ყველა ისინი კასპაროვთან წინა მატჩის დროსაც მუშაობდნენ.

რაც შეეხება ორივე გუნდის დანარჩენი წევრების ფუნქციებს, ისინი ჩემთვის მთლად გასაგები არ არის. ისე კი ვხედავ, რომ როგორც ერთს, ისე მეორეს ბევრი ხალხი ჰყავს. საერთოდ გუნდები, რომლებიც დიდოსტატებს ახლავან, ყოველწლიურად იზრდება. ერთი მხრივ, ეს ზრდა გამართლებულიც არის. როგორც მსოფლიო პირველობაზე წინა მატჩების გამოცდილებამ დაგვანახვა, განსაკუთრებით 1972 წლის მატჩმა სპასკისა და ფიშერს შორის, გუნდებს მარტო საჭადრაკო ძალები კი არ სჭირდებათ, არამედ ისეთებიც, როგორიც არის ექიმი, მასაჟისტი, ფსიქოლოგი. საჭიროა უშიშროების სამსახურიც, ახლა კი ვერც კომპიუტერების სპეციალისტს ავუვლით გვერდს.

— კასპაროვი არაერთგზის აცხადებდა, რომ სურს მეტოქის განადგურება, რათა მან საერთოდ დაანებოს თავი მსოფლიო პირველობაზე ფიქრს. როგორ ფიქრობთ, კასპაროვის გამარჯვების შემთხვევაში მართლაც ასე მოხდება?

— რა თქმა უნდა, თუკი კასპაროვი მოიგებს, კარპოვს შემდეგში სულ უფრო გაუჭირდება მიიღოს ახალ მატჩში მონაწილეობის უფლება. მაგრამ დღემდე მან ორჯერ საკმაოდ იოლად გააკეთა ეს საქმე. რა მოხდება შემდეგ, ძნელია ამაზე ლაპარაკი.

— კარპოვმა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ თუკი ამ მატჩს იგი მოიგებს, კასპაროვს მისი ტემპერამენტითა და დიდი მგრძნობელობით, ძალიან გაუჭირდება კვლავ მიიღოს მსოფლიო პირველობის მატჩის თამაშის უფლება. რას იტყვით ამის შესახებ?

— ახალი პრეტენდენტები, ადრე თუ გვიან, გამოჩნდებიან. ადამიანის ძალები, ბოლოს და ბოლოს, ამოუწურავი ხომ არ არის. ამიტომ თამაშის კლასის დაცემა, უნდა თუ არ უნდა, შეიძლება ერთსაც დაეტყოს და მეორესაც. ადამიანს შეიძლება საჭადრაკო ნიჭი დაეკარგოს, ნერვული სისტემა გაუუარესდეს. გამორიცხული არ არის, რომ ვინც ახლანდელ მატჩს წააგებს, შემდეგ უკვე ვეღარ მიიღებს მონაწილეობას ასეთ შეჯიბრებაში.

— როგორ ფიქრობთ, ვის მხარეზეა ახლა ფსიქოლოგიური უპირატესობა?

— მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ კარპოვს ეშინია კასპაროვისა. როცა კასპაროვი რისკით სავსე, მაგრამ მწვავე და რთულ ბრძოლას იწყებს, კარპოვი ცდილობს ასეთ თამაშს თავი აარიდოს.

— ხომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ კარპოვს უკვე აღარ ეშინია კასპაროვისა?

— კარპოვი ყველა პარტიაში აქტიურობას მხოლოდ მაშინ იჩენს, როცა იძულებული ხდება.

— ნებისმიერი საუბარი ჭადრაკზე არასრული იქნება, თუკი ფიშერს არ გავიხსენებთ. შეუძლია თუ არა კასპაროვს მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატები დაამარცხოს ანგარიშით 6:0, როგორც ამას თავის დროზე ლეგენდარული ბრუკლინელი აკეთებდა?

— კასპაროვმა უკვე ითამაშა ასეთი მატჩები და „მშრალი ანგარიშით" არავინ დაუმარცხებია. ამიტომ, ვფიქრობ, პასუხი ნათელია.

— დღევანდელ დღეს დავუბრუნდეთ. ვინ შეიძლება, თქვენის აზრით, ახლო მომავალში ორი „კ"-ს დავაში ჩაერიოს?

— ძნელი სათქმელია. აქ შეიძლება მოჭადრაკის პიროვნება კი არ იყოს მთავარი, არამედ ის საკითხი, როგორი სიმძლავრის გუნდს შემოიკრებს იგი თავის გარშემო. თანაშემწეების გარეშე ახლა არაფრის გაკეთება არ შეიძლება. ბევრი ძლიერი მოჭადრაკე ახლა საერთოდ დაინტერესებული არ არის მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლით. ისინი, უბრალოდ, თამაშობენ ტურნირებში და პრიზების მოპოვებას ცდილობენ. მსოფლიო პირველობისათვის რომ იბრძოლო, ბევრ რამეზე უარი უნდა თქვა. ეს კი ბევრს არ უნდა. თუკი დასავლეთში გამოჩნდება რომელიმე ფანატიკოსი, ისეთი, ფიშერი რომ იყო, მას კარგი შესაძლებლობები ექნება. ისე კი, გულახდილად რომ გითხრათ, ახლანდელი მატჩის მონაწილეებთან დავა არცერთ ახალგაზრდა მოჭადრაკეს არ ძალუძს. ამ ორეულს ვერავინ წააქცევს, სანამ ისინი თვითონ არ წაიქცევიან.

მოამზადა **ბიძი გამრეკელმა.**

კასპაროვმა ტაიმ-აუტი აიღო

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩის 21-ე პარტია, რომელიც 17 დეკემბერს უნდა გათამაშებულიყო, გადადებულია 19 დეკემბრისათვის. თავისი ბოლო ტაიმ-აუტი აიღო გარი კასპაროვმა, რომელსაც პრეტენდენტ ანატოლი კარპოვთან მატჩში ანგარიში მიჰყავს 11:9 თავის სასარგებლოდ.

პირსახოცი რინგზე

თბილისის სპორტის სასახლის რინგზე მეცხრედ ჩატარდა დედაქალაქის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი კრივში ჭაბუკთა შორის გაზეთ „ვეჩერნი ტბილისი" პრიზზე.

შეჯიბრება საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და იგი ასპარეზობის ორგანიზატორთა დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. სპორტის სასახლის რინგზე ვიხილეთ თურქეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჰოლანდიის, ფინეთის, საბჭოთა კავშირის, სომხეთის, უზბეკეთისა და საქართველოს ჭაბუკი მოკრივეები.

ევროპის ჩემპიონმა მესტიელმა მოკრივემ რამაზ ფალიანმა (51 კგ) საკმაოდ დამაჯერებლად განვლო მთელი ტურნირი. მან ფინალში სძლია გ. მელქონიანს და პირველი ოქროს მედალი მოუტანა საქართველოს ნაკრებს. მომდევნო, 54 კილოგრამ წონაში თბილისელმა კობა გოგოლაძემ დაამარცხა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი შ. აბდუვახიდოვი და ოქროს მედალი მოიპოვა. ჩინებულად იბრძოდა ევროპის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი პაატა გვასალია (57 კილოგრამი), რომელმაც კრივის სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა. პაატა გვასალიას, როგორც შეჯიბრების ყველაზე ტექნიკურ მოკრივეს, თბილისის ალმასკომის მიერ დაწესებული პრიზი გადასცა დედაქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვლადიმერ კანკავამ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი ვადიკ ქოჩოევი, რომელმაც მთელი ტურნირი საკმაოდ ძლიერად განვლო, ვადაზე ადრე გაიმარჯვა წინასწარ შეხვედრებში. ფინალში მისი მეტოქე იტალიელი ფრანკო კიკიერკია გახლდათ. პირველივე რაუნდის დასაწყისში თბილისელმა მოკრივემ ძლიერი დარტყმით ნოკდაუნში გაგზავნა მეტოქე. როცა მისი უპირატესობა აშკარა გახდა, იტალიელთა მწვრთნელმა თავისი აღსაზრდელის დამარცხების ნიშნად პირსახოცი ისროლა რინგზე. ყველაფერი ეს 1 წუთსა და 46 წამში მოხდა. შემდეგ, მსაჯებმა რინგზე გორელი გიორგი კანდელაკი (91 კგ) და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ნ. პიატკოვი იხმეს. ქართველმა მოკრივემ ძალიან გაზრებულად წარმართა ბრძოლა. სამი რაუნდის განმავლობაში იგი საჭირო ქულებს აგროვებდა და გაიმარჯვა კიდეც. წარსულში ცნობილმა თბილისელმა მოკრივემ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა მძიმე წონაში, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ანდრო ნავასარდოვმა აღნიშნა: გიორგი კანდელაკი ვფიქრობ ურიგო მოკრივე არაა. მას ჩინებულად აქვს დაყენებული პირდაპირი და გვერდითი დარტყმები, მაგრამ ოდნავ ნელ ტემპში აკეთებს ყოველივეს. აუცილებელია მან თავის არსენალში შეიტანოს დარტყმა ქვევიდან, რომელსაც მოკრივეები „აპერკოტს" უწოდებენ.

მძიმე წონაში ოქროს მედალი ხვდა ფოთელ ზურაბ სარსანიას.

შალვა ქირია

ოლიმპიადა-2000 — ბერლინში?

ბერლინს 2000 წლის საზაფხულო ოლიმპიადის გამართვის კარგი შანსი აქვს, — განაცხადა ბონში სატელევიზიო ინტერვიუში საერთაშორისო ოლიმპიადის კომიტეტის თავმჯდომარემ ხუან ანტონიო სამარანჩმა.

„საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება მონაკოში 1993 წელს, აღნიშნა მან, და, ჩვეულებრივ, ჩვენ განვიხილავთ 5-6 განაცხადს. ვერ გეტყვით, ბერლინი კანდიდატურათა სიის თავში იქნებამეთქი".

საკუთარ სახლში

ითხოვენ კონსოლიდაციას

გუშინ, როგორც ტელეეკრანითაც წინასწარ გვაცნობეს, მთავრობის სახლთან გაიმართა მიტინგი, რომლის ინიციატორიც ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია იყო.

მიტინგზე ძირითად მოთხოვნად გაისმა ეროვნულ-პოლიტიკური ძალების შეხვედრის აუცილებლობა.

ბატონმა ირაკლი ბათიაშვილმა ბრძანა, რომ საჭიროა აქამდე არსებული ყველა უთანხმოების გვერდზე გადადება და ეროვნული ძალების გაფართოებული კონფერენციის მოწყობა. აღინიშნა, რომ ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმი მომხრეა ასეთი შეხვედრის, ორატორმა თქვა, რომ უზენაესი საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მხარი დაუჭირეს ასეთი შეხვედრის აუცილებლობას. ამასთან, აღინიშნა, რომ ამ საკითხის გამო, უზენაეს საბჭოში უცდიან მოსკოვში წარგზავნილი დელეგაციის ჩამოსვლას 20-დან 25 დეკემბრამდე.

თუკი დელეგაცია ვერ ჩამოიტანს სასურველ პასუხს, საჭიროა ქართველი ერის დარაზმვა ლესელიძიდან — ლაგოდეხამდე, რათა შესაძლებელი გახდეს ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების დაცვა...

იგივე აზრი გამოიკვეთა ბატონ ირაკლი წერეთლის სიტყვაში, რომელმაც, ზემოთქმულის გარდა აღნიშნა, საქართველოს ხელისუფლება ვერ ახორციელებს კონტროლს შიდა ქართლის ტერიტორიაზე, რის გამოსასწორებლადაც საჭიროა სსრკ შინაგანი ჯარების უფლებამოსილების შეზღუდვა, რასაც დაუყოვნებლივ უნდა მიაღწიოს ხელისუფლებამ.

აღინიშნა, რომ შეიძლება საჭირო გახდეს მთელი ერის მობილიზება ეროვნული დაუმორჩილებლობისათვის, რასაც წინ უნდა უძღვოდეს ერთ დღიანი საყოველთაო გამოსვლები.

ამასთან, აღნიშნა ირაკლი წერეთელმა, საჭიროა ქართველი ერის მონაწილეობა მსოფლიო პროცესში. ამისთვის საჭიროა მომზადდეს ერაყისადმი მიმართვა, რომელიც გამომხატველი იქნება მსოფლიოს ხალხთა ნებისა, ამით ჩვენ ხმას შევუერთებთ მსოფლიოს პროგრესულ ძალებს აგრესიისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ...

მე პირადად ამ მიტინგმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ აზრთა რადიკალური განსხვავების მიუხედავად შესაძლებელია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონსოლიდაცია. ეს კი, უპირველესი ძალა იქნება იმპერიის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგივე მისწრაფება აშკარად ჩანს უზენაესი საბჭოს მხრიდანაც. ერთი კია, არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირებებისადმი მიდგომაში მაინც აზრთა სხვაობაა, რაც კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ამ მიტინგზე. საზოგადოებას კვლავ შეახსენეს მხედრიონისა და სხვა ფორმირებების დამსახურება რთული რეგიონების დაწყნარებაში. მაგრამ, ერთი რამ აშკარად „მიავიწყდათ", რომ ქვეყნის სათავეში, როგორც იქნა, ვიხილეთ ერის მიერ რჩეული ხალხი, საჭიროა ყველა შეიარაღებული (ვიმეორებ, შეიარაღებული) ფორმირების დამორჩილება ერთი ძალისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში თავიდან ვერ ავიცილებთ ექსცესებს. ეს კი, როგორც ჩანს, ყველა ეროვნული პარტიის ინტერესებს შეესაბამება.

ბელა ნატროშვილი.

თითქმის ჩაიშალა

დღეს, როდესაც ასე დაძაბულია პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, ალბათ, ძნელია აუქციონის მოწყობა. მითუმეტეს, ხელოვნების ნაწარმოებებისა.

15 დეკემბერს თბილისში, კინოს სახლში მოეწყო ახალგაზრდა მხატვართა ქმნილებების აუქციონი.

გამოტანილი იყო ორმოცი მხატვრის ნამუშევარი. სამწუხაროდ აუქციონი თითქმის ჩაიშალა.

ცარიელ დარბაზში ძირითადად ავტორები ისხდნენ

გაიყიდა მხოლოდ ხუთი მხატვრის 13 ნამუშევარი.

ლელი ძიძიაშვილი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

მიუხედავად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და დეპეშებით მრავალჯერადი გაფრთხილებისა, ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ მაინც დაარღვია საფინანსო ანგარიშის წარმოდგენის ყველა ვადა. ზოგიერთი საარჩევნო კომისიის წარმოდგენილი ანგარიში ყოვლად უხარისხოა. ამის გამო ცენტრალური საარჩევნო კომისია იძულებულია შეაჩეროს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების ანგარიშის გამოქვეყნება.

ქვემოთ ჩამოთვლილი კომისიების წევრებს, აგრეთვე არჩევნების მონაწილე პოლიტიკური პარტიების შესაბამის ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანიზაციებს, ადგილობრივ საბჭოებთან შექმნილ სადეპუტატო კომისიებს ვთხოვთ დაგვეხმარონ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დახარჯული სახსრების ანგარიშის სასწრაფოდ წარმოდგენის საკითხში.

საოლქო საარჩევნო კომისიები და მათი თავმჯდომარეები, რომლებსაც არ წარმოუდგენიათ ანგარიში: № 1 თბილისის ნაძალადევის რაიონი — ანზორ პაპავა; № 12 თბილისის ვაკის რაიონი — ბორის ჯანჯღავა; № 26 თბილისის გლდანის რაიონი — მალხაზ ჩემია; № 36 ბორჯომის — ნორა ჯავახიშვილი; № 70 ქუთაისის — გოჩა მაჭავარიანი; № 71 ქუთაისის — თენგიზ კაკუშაძე; № 74 წყალტუბოს — მამუკა ჯიქია; № 78 ლენტეხის — ინდიკო ჩარქსელი; № 97 მესტიის — მიხეილ კვანჭიანი; № 101 სოხუმის — ავთანდილ ქობალავა; № 103 ტყვარჩელის — გიორგი ჯინორია; № 106 გუდაუთის — კუნეცალა თარბა; № 114 ქობულეთის — ივანე ჯინჭარაძე; № 117 ხელვაჩაურის — მურად თედორაძე; № 121 ცხინვალის — ონალ ჯიოევი.

საოლქო საარჩევნო კომისიები და მათი თავმჯდომარეები, რომლებმაც უხარისხო ანგარიში წარმოადგინეს და წარმოსადგენი აქვთ თავიდან: № 37 ახალციხის — პავლე მესხიშვილი; № 40 ბოგდანოვკის — ლაურა კაზარიანი; № 98 ფოთის — გაიოზ ქინქლაძე.

ქოლგები

ალბათ მონახავს...

„ქართული სახელმწიფოს აღდგენისა და განმტკიცების საფუძველი ოჯახია, მისი დამოუკიდებლობა და მთლიანობა" — ეს გახლავთ საოჯახო ჟურნალ „ბაიას" დევიზი, რომლის მეორე ნომერიც ახლახან გამოჩნდა საგაზეთო ჯიხურებში.

„ბაია" ბევრ საინტერესოს სთავაზობს მკითხველებს, ქორწინების საიდუმლოთი დაწყებული და ადამისა და ევას დღიურებამდე.

დღევანდელ საგაზეთო-საჟურნალო ბუმის პირობებშიც კი, საინტერესო და გემოვნებით ილუსტრირებული „ბაია", ალბათ, მონახავს ერთგულ მკითხველებს.

მიწისძვრა საქართველოში

თბილისში 16 დეკემბერს 18 საათსა და 45 წუთზე ხუთბალიანი მიწისძვრა მოხდა. დედაქალაქის ფარგლებში მიწისქვეშა ბიძგებს შენობა-ნაგებობანი არ დაუზიანებია.

როგორც ცენტრალური სეისმოლოგიური ობსერვატორია „თბილისიდან" გვაცნობებს, მიწისძვრის ეპიცენტრი, წინასწარი მონაცემებით, ბოგდანოვკის რაიონში უნდა ყოფილიყო. აქ ბიძგის ძალამ დაახლოებით 7 ბალი შეადგინა.

ბოგდანოვკის რაიონში მიწისძვრის თაობაზე ცნობების დასაზუსტებლად მეცნიერებისა და სპეციალისტთა კომპლექსური ექსპედიცია გაემგზავრა.

სს „საქართველო"

ქაღალდის უქონლობის გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 20 დეკემბერს.

ტელევიზია

თბილისი

18 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.10 — საერთაშორისო დღიური (გამეორება). 16.50 — მხატვრული ფილმი „ვალენტინი და ვალენტინა" (ქართულ ენაზე). 18.15 — მოსწავლეთათვის — „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ". 18.55 — განცხადებები. 19.00 — „მეცნიერების სამყაროში" — მიკროსამყაროს მკვლევარნი. „ფართო გზა სიახლეს" (ავეჯის კოოპერატივი „ჩუქურთმა"). 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.40 — „ვენური ჩანახატები". 21.00 — „ვრემია". 21.40 — „თეატრი ბრიტანეთში". 22.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ნეილონის ნაძვის ხე". 23.55 — ქრონიკა.

•

მეორე პროგრამა. 14.05 — სატელევიზიო დადგმა „ექიმი სოლტი მიემგზავრება". 16.55 — დოკუმენტური ფილმი „ოლიმპიელების ფიცი". 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.50 — მხატვრული ფილმი „განა ადვილია იყო ახალგაზრდა?". 20.00 — მოამბე. 20.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოთარ თაქთაქიშვილი". 21.00—24.00 — საქართველოს კომერციული ტელევიზიის პროგრამა (საცდელი გადაცემები).

მოსკოვი

18 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 6.30 — „120 წუთი". 8.35 — მხატვრული ტელეფილმი „მთვარის ბნელ მხარეს". II სერია. 9.40 — დოკუმენტური ფილმის პრემიერა. 10.00 — კონცერტი. 10.25 — მულტფილმები. 11.00 — „ეს იყო... იყო...". 11.25 — ბავშვის საათი. 12.25 — კოლაჟი. 12.30 „ვრემია". 13.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. 16.30 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 16.45 — „გამარჯობა, მუსიკავ!". 17.30 — მულტფილმი. 18.20 — „გრუზ-200". არმიაში არასაწესდებო ურთიერთობის პრობლემა. 19.00 — რუსეთის საპარლამენტო მოამბე. 19.15 — კონცერტი. 20.10 — მხატვრული ტელეფილმი „ყველა მდინარე მიედინება". II სერია. 21.00 — „ვრემია". 21.40 — მწერალ ვ. კოჟინოვის შეხვედრა მკითხველებთან ოსტანკინოში. 23.40 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 23.55— „მე თქვენ გიმღერებთ".

მეორე პროგრამა. 8.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 8.35 და 9.35 — გეოგრაფია. VIII კლასი. სსრ კავშირის მიწის რესურსები. 9.05 და 10.05 — ფრანგული ენა. 10.35 და 11.40 — ბიოლოგია. VI კლასი. ფოთლის მნიშვნელობა. 10.55 — ვარჯიში ერუდიტებისათვის. 12.00 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „რა გადახდა მამაჩემს". 13.15 და 18.00 — რიტმული ტანვარჯიში. 14.55 — ჰოკეი. საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე. შვეციის ნაკრები — ჩეხეთ-სლოვაკეთის ნაკრები. 17.30 — „ნახევარი საათი ბელორუსულ სოფელში". 18.30 — „ვრემია". 19.00 — კოლაჟი. 19.05 — დოკუმენტური ფილმი. 19.25 — ჰოკეი. საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე. ფინეთის ნაკრები — სსრ კავშირის ნაკრები. 21.40 — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეოთხე ყრილობა.

მთავარი რედაქტორი ნანუკა [illegible]

მისამართი: 380096, თბილისი, [illegible] ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
[illegible]
[illegible] ქ. № 29.
[illegible]

საქართველოს რესპუბლიკა